



აუდიტორების აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„პაემპიკი“

სოციალური სფეროს აუდიტის

დეპარტამენტის უფროსი

გაბა შეყილაძე

7 თებერვალი 2019 წელი

N 25/36

ეგზ. N1

უმაღლესი განათლების პროგრამებისა და
შრომის ბაზრის თავსებადობის ეფექტიანობის
აუდიტი

სარჩევი

ტერმინთა განმარტება	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	4
1. შესავალი	8
1.1 აუდიტის მოტივაცია	8
1.2 აუდიტის მიზანი და მთავარი კითხვები	9
1.3 აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია	10
1.4 აუდიტის კრიტერიუმები	12
2. ზოგადი ინფორმაცია	15
2.1 სფეროს აღწერა	15
2.2 პრიორიტეტული პროგრამების დაფინანსება	18
2.3 საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა	20
აუდიტის მიგნებები	24
3. პროგრამის დაგეგმვის ნაკლოვანებები	24
3.1 პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის ნაკლოვანებები	24
3.2 პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისას შრომის ბაზრის ტენდენციების უგულებელყოფა	29
3.3 დასაფინანსებელი სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის ნაკლოვანებები	36
4. პროგრამის ადმინისტრირების ნაკლოვანებები	42
4.1 დაფინანსების მოდელის ნაკლოვანება	42
4.2 პროგრამის მონიტორინგის ნაკლოვანებები	47
4.3 პროგრამის ეფექტიანობის საზომები	49
ბიბლიოგრაფია	55

ტერმინთა განმარტება

სამინისტრო – განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

უსდ – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

პრიორიტეტული მიმართულება – უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურის მიმართულება, რომელიც სახელმწიფოს მიერ აღიარებულია პრიორიტეტად და მასში ერთიანდება რამდენიმე სასწავლო პროგრამა

პრიორიტეტული სასწავლო პროგრამა – უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურის სასწავლო პროგრამა, რომელიც სახელმწიფოს მიერ აღიარებულია პრიორიტეტად

პროგრამული დაფინანსება – უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში უნივერსიტეტზე გაცემული დაფინანსება

პროგრამა – სამინისტროს მიერ ადმინისტრირებული პროცესი, რომელიც მოიცავს უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრასა და მართვას

OECD – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

IRR – უკუგების მაჩვენებელი

შემაჯამებელი მიმოხილვა

განათლების სისტემის განვითარება და სრულყოფა ქვეყნის პრიორიტეტული მიმართულებაა, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება უმაღლესი განათლების ხელშეწყობას. 2013 წელს მთავრობის მიერ განისაზღვრა უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც ითვალისწინებდა კონკრეტული დარგების ხელშეწყობას, ახალგაზრდების ამ მიმართულებებით დაინტერესებასა და ინტელექტუალური კაპიტალის მიზნობრივად გამოყენებას.¹ ამასთანავე, სამინისტროს სტრატეგიის მიხედვით, დიდი როლი ენიჭება უმაღლესი განათლების პროგრამებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების თანხვედრას.²

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა უმაღლესი განათლების პროგრამებისა და შრომის ბაზრის თავსებადობის ეფექტიანობის აუდიტი, გააანალიზა უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისა და მართვის პროცესი, აგრეთვე მათი კავშირი შრომის ბაზრის საჭიროებებთან, რის შედეგად გამოვლინდა ის ნაკლოვანებები, რომლებიც გავლენას ახდენდა სისტემის ეფექტიანად და პროდუქტიულად ფუნქციონირებაზე, კერძოდ:

პრიორიტეტული მიმართულებების

განსაზღვრისას, სამინისტროს მიერ შესაფერისი კვლევები არ ჩატარებულა. შესაბამისად, არ არის გამოკვლეული შერჩეული მიმართულებების თავსებადობა ქვეყნის საჭიროებებთან;

ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც პრიორიტეტულ სასწავლო პროგრამებად აღიარებულია ისეთი მიმართულებები, რომლებიც გამოირჩევა სტუდენტების მაღალი რიცხოვნობით, ხოლო ისეთი დარგები, რომლებიც ქვეყნისთვის აქტუალური გამოწვევაა და სტუდენტების დაბალი რიცხოვნობით გამოირჩევა, არ

სქემა N1. ძირითადი ფაქტები უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ¹



¹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის ბრძანება N65/5.

² საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, გვ. 36.

მიიჩნევა პრიორიტეტად, რაც არ არის თავსებადი პროგრამის მიზნებთან;

-) 2017 წლიდან უნივერსიტეტები თავად არიან უფლებამოსილი განსაზღვრონ პრიორიტეტული სასწავლო პროგრამები, რომლებსაც დააფინანსებს სახელმწიფო, ხოლო სამინისტროს არ აქვს შემუშავებული მექანიზმი, რომლის მიხედვით შეფასდება უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი პრიორიტეტული პროგრამები, რამდენად შეესაბამება შერჩეული მიმართულება ქვეყნის საჭიროებებს. შედეგად, აღნიშნული ცვლილების შემდეგ, პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების რაოდენობა გაზრდილია 1,5-ჯერ, ხოლო საბაზისო წელთან შედარებით – 3,5-ჯერ, რაც არ არის დასაბუთებული შესაბამისი კვლევებით;
-) პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევისა და მისაღები სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის პროცესში სამინისტრო და უსდ-ები არ ითვალისწინებენ შრომის ბაზრის ტენდენციებს, რაც ქმნის სტრუქტურული უმუშევრობის გაზრდის რისკებს. კერძოდ, 2018 წლის ივლისის მდგომარეობით, დასაქმებულია პრიორიტეტული მიმართულებების კურსდამთავრებულთა 41%, მათგან საკუთარი პროფესიით – მხოლოდ ნახევარი;³
-) თითოეული მიმართულების მიხედვით არ არის შეფასებული შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების ხარისხის მქონე სპეციალისტების საჭიროება, რაც გამოწვეულია პასუხისმგებელ სამინისტროებსა⁴ და სხვა დაინტერესებულ მხარეებს⁵ შორის არასაკმარისი კოორდინაციით. შედეგად, არ არის გამოკვლეული რამდენად თანხვედრაშია დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა რეალურ საჭიროებებთან;
-) უნივერსიტეტებს შორის მისაღები სტუდენტების ლიმიტებს სამინისტრო არაოპტიმალურად ანაწილებს; თითოეული მიმართულების ფარგლებში, დროულად არ ითვალისწინებს წინა სასწავლო წლებში დაფიქსირებული მოთხოვნისა და გამოყოფილი ადგილების ათვისების მაჩვენებელს. შედეგად, გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც გარკვეულ დარგებზე კონკრეტულ უნივერსიტეტებში ფიქსირდება აბიტურიენტების დაბალი აქტივობა, ხოლო იმავე დარგზე დანარჩენ უნივერსიტეტებში – ადგილების სრული ათვისება. მიუხედავად ამისა, მომდევნო სასწავლო წლებში დადგენილი ლიმიტები უცვლელი რჩება. აღნიშნული გარემოება დაფინანსების არსებული წესის პირობებში იწვევს სახსრების არაპროდუქტიულ ხარჯვას;

³ იგულისხმება აუდიტის ჯგუფის მიერ გამოკითხული კურსდამთავრებულები.

⁴ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

⁵ უსდ, დამსაქმებლები და ა.შ.

- ა) დაფინანსების მოდელი დაფუძნებულია მხოლოდ ერთ კრიტერიუმზე – სტუდენტების რაოდენობაზე, განსხვავებით საერთაშორისო პრაქტიკისგან, რომელიც ითვალისწინებს ხარისხობრივ ინდიკატორებსაც. ამასთანავე, 2013-2017 წლებში პრიორიტეტული მიმართულებების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო დაფინანსების ორმაგი წყარო, როგორც პროგრამული დაფინანსება – 129,534,325 ლარით, ასევე სახელმწიფო სასწავლო გრანტი – 15,960,438 ლარის ოდენობით. აღნიშნულმა მოდელმა 23%-ით გააძვირა ხარჯი ერთეულთან მიმართებაში, რაც მიუთითებს მოდელის არაპროდუქტიულობაზე;
- ბ) პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების მობილობა⁶ წლების მიხედვით შეადგენს საშუალოდ 11%-ს, საიდანაც სტუდენტთა უმრავლესობა გადადის ისეთ პროგრამებზე, სადაც მაღალია სტუდენტების რიცხოვნობა. ასევე 2013 წელს ჩარიცხული სტუდენტების მხოლოდ 53%-მა დაასრულა სწავლა შესაბამის ვადაში. ამასთანავე, პრიორიტეტულ სასწავლო პროგრამებს ეროვნული გამოცდების ჩაბარებისას აბიტურიენტები ირჩევენ საშუალოდ მე-11 რიგის პრიორიტეტად, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ შერჩეული მიმართულებები ვერ გახდა პოპულარული. იმ სტუდენტების რიცხვი კი, რომელთაც მოპოვებული აქვთ სახელმწიფო სასწავლო გრანტი, ყოველწლიურად მცირდება. მოცემული ფაქტები არ არის თანხვედრაში პროგრამის მიზნებთან და მიუთითებს ეფექტიანობის დაბალ მაჩვენებელზე;
- გ) სამინისტროსა და უნივერსიტეტებს არ შეუფასებიათ პროგრამის ფარგლებში მიღწეული შედეგები, რამაც გამოიწვია ის ფაქტი, რომ წლების მანძილზე არ ხორციელდებოდა განსაზღვრული მიმართულებების კორექტირება არსებული გამოწვევების გათვალისწინებით.

გამოვლენილი გარემოებები და არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები მიუთითებს პროგრამის ეფექტიანობის და პროდუქტიულობის დაბალ მაჩვენებლებზე. აღნიშნულთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში, შესაძლებელია სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესება:

⁶ ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა. ასევე ერთსა და იმავე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა.

რეკომენდაცია სამინისტროს:

რეკომენდაცია N1. იმისათვის, რომ უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებები თანხვედრაში იყოს ქვეყნის საჭიროებებსა და არსებულ გამოწვევებთან, შესაფერისი კრიტერიუმების მიხედვით, მათი აქტუალურობა ყოველწლიურად შეფასდეს და განახლდეს;

რეკომენდაცია N2. ქვეყნის საჭიროებებთან შეუსაბამო გადაწყვეტილების მიღების რისკის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია, სამინისტრომ შეიმუშაოს მექანიზმი, რომლის მეშვეობით უსდ-ები მხოლოდ დადასტურებული საფუძვლით შეძლებენ პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების შერჩევას;

რეკომენდაცია N3. სტრუქტურული უმუშევრობის რისკების შემცირების მიზნით, მნიშვნელოვანია გაიზარდოს კოორდინაცია პასუხისმგებელ სამინისტროებსა⁷ და დაინტერესებულ მხარეებს⁸ შორის, რისი მეშვეობით თითოეული მიმართულების მიხედვით, შეფასდება შრომის ბაზრისა და უმაღლესი განათლების სასწავლო პროგრამებს შორის ურთიერთკავშირი; შრომის ბაზრის ტენდენციებისა და სხვა შესაბამისი ხარისხობრივი ინდიკატორების გათვალისწინებით, თითოეული უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, განისაზღვროს დასაფინანსებელი სტუდენტების რაოდენობა;

რეკომენდაცია N4. სახსრების პროდუქტიულად ხარჯვის მიზნით, მიზანშეწონილია დაფინანსების მოდელის ცვლილება. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შემუშავდეს კრიტერიუმები, რომლებიც უსდ-ისათვის დაფინანსების გაცემისას, სტუდენტების რაოდენობის გარდა მხედველობაში მიიღებს ხარისხობრივ ინდიკატორებსაც;

რეკომენდაცია N5. სამინისტრომ მნიშვნელოვანია დანერგოს მონიტორინგის სისტემა და გაწეროს შეფასების ინდიკატორები, რათა შესაძლებელი გახდეს გაიზომოს პროგრამის ფარგლებში უსდ-ების მიერ მიღწეული შედეგი, გახარჯული რესურსის ეფექტიანობა და პროდუქტიულობა და საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს დროული რეაგირება.

⁷ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

⁸ უსდ, დამსაქმებლები და ა.შ.

1. შესავალი

1.1 აუდიტის მოტივაცია

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა და განვითარება მთავრობის ერთ-ერთი მიზანია. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მიხედვით, უმაღლესი განათლება უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიკის საჭიროებებს და მოთხოვნებს, ხოლო უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და დაფინანსდება უნდა ხორციელდებოდეს შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე.⁹

სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტს მოცემული მიმართულებით შემუშავებული აქვს პოლიტიკა. სახელმწიფომ განსაზღვრა უმაღლესი განათლების 7 პრიორიტეტული მიმართულება, რაზეც 2013-2018 სასწავლო წლებში 8 სახელმწიფო უნივერსიტეტში, პროგრამის ფარგლებში **გახარჯულია 145, 494,763 ლარი**, ხოლო სამინისტროს მხრიდან აუდიტის პერიოდისთვის არ იყო განხორციელებული გატარებული ღონისძიებების მონიტორინგი და მიღწეული შედეგების შეფასება.

პრიორიტეტულ სასწავლო პროგრამებზე ჩარიცხული **სტუდენტების რაოდენობა** მთლიანი ჩარიცხვების **16%-ს შეადგენს**, ხოლო ამავე პროგრამებზე სტუდენტების სწავლის დასაფინანსებლად სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები, უმაღლეს განათლებაზე მიმართული ჯამური **დაფინანსების 30%-ია**.

უმაღლესი განათლებისა და შრომის ბაზრის ურთიერთმიმართების შესახებ ინფორმაცია ქვეყანაში ძალიან მცირეა, მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის სტანდარტი¹⁰ ავალდებულებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუსაბამონ პროგრამები ბაზრის მოთხოვნებს. აღნიშნულ ფაქტს განაპირობებს ის, რომ სახელმწიფო დონეზე არ არსებობს ერთიანი მიდგომა და არ არის შემუშავებული შესაბამისი ღონისძიებები შრომის ბაზრისა და უმაღლესი განათლების სისტემის ურთიერთკავშირის მისაღწევად.

აუდიტი ფოკუსირებულია განათლების სისტემაში არსებულ მექანიზმებზე, რაც ხელს უნდა უწყობდეს უმაღლესი განათლების პრიორიტეტული პროგრამების სწორად განსაზღვრას და მათ თავსებადობას პროგრამის მიზნებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, ქვეყნის საჭიროებებიდან გამომდინარე.

⁹ ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი 2018-2020, გვ. 5.

¹⁰ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის ბრძანება N65/ნ.

1.2 აუდიტის მიზანი და მთავარი კითხვები

აუდიტის მიზანია შეაფასოს სამინისტროს მიერ დანერგილი მექანიზმების პროდუქტიულობა და ეფექტიანობა, რაც უზრუნველყოფს პრიორიტეტული მიმართულებების თავსებადობას არსებულ საჭიროებებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

მთავრობის

მიზანი

უმაღლესი განათლება უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიკის საჭიროებებსა და მოთხოვნებს.



პროგრამის

მიზანი

1. ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივად გამოყენება.
2. მიმართულებების განვითარება და ახალგაზრდების დაინტერესება.



მიზნის მიღწევის

მექანიზმები

შრომის ბაზრის ანალიზისა და საჭიროებების კვლევის საფუძველზე უნდა ფინანსდებოდეს უმაღლესი განათლების მიმართულებები.



აუდიტის

შესწავლის საგანი

რამდენად განაპირობებს სამინისტროს მიერ დანერგილი მექანიზმები პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების თავსებადობას არსებულ საჭიროებებთან და შრომის ბაზართან.

აუდიტის კითხვებად განისაზღვრა:

1. რამდენად თავსებადია პრიორიტეტული პროგრამების მიზანი მთავრობის სტრატეგიასთან.
2. რამდენად შეესაბამება პრიორიტეტული პროგრამები და მისაღები სტუდენტების რაოდენობა შრომის ბაზრის მოთხოვნასა და ქვეყნის საჭიროებებს.
3. რამდენად უზრუნველყოფს სამინისტროს მიერ დანერგილი მექანიზმები სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას.

- 3.1.1 რამდენად უზრუნველყოფს დაფინანსების მოდელი ფინანსური რესურსის პროდუქტიულად ხარჯვას.
- 3.1.2 პროგრამის ფარგლებში დანერგილი მექანიზმები რამდენად უწყობს ხელს პროგრამის სათანადო მონიტორინგს და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას.

1.3 აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია

აუდიტის ობიექტად განისაზღვრა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი ერთეულები. აუდიტის პერიოდი მოიცავს 2013-2017 წლებს. აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, გამოყენებულია ასევე აუდიტის წინა და შემდგომი პერიოდების ინფორმაცია.

საკითხების შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

-)/ მარეგულირებელი ნორმების შესწავლა და ანალიზი;
-)/ დოკუმენტური ინფორმაციის ანალიზი;
-)/ პროგრამების და პროცესების მართვისა და ადმინისტრირების პროცედურების ანალიზი;
-)/ მონაცემთა ბაზების ანალიზი;
-)/ საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების ანალიზი;
-)/ პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუები;
-)/ პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების კურსდამთავრებულების გამოკითხვა.

აუდიტის კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩატარდა შემდეგი აუდიტორული პროცედურები:

1. **რამდენად თავსებადია პრიორიტეტული პროგრამების მიზანი მთავრობის სტრატეგიასთან:** აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა სამინისტროს მიერ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ანალიზი, შესაბამის პირებთან ინტერვიუები, მარეგულირებელი, ნორმატიული ბაზისა და დოკუმენტაციის ანალიზი.
2. **რამდენად შეესაბამება პრიორიტეტული პროგრამები და მისაღები სტუდენტების რაოდენობა შრომის ბაზრის მოთხოვნას:** აუდიტის ჯგუფმა ქვეყანაში არსებული შრომის ბაზრის კვლევების საფუძველზე გააანალიზა პრიორიტეტული პროგრამების თავსებადობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან; ჩაატარა უნივერსიტეტებისა და სამინისტროს წარმომადგენლებთან ინტერვიუები, გაეცნო ნორმატიულ აქტებს, დოკუმენტაციასა და საერთაშორისო პრაქტიკას; შეისწავლა პრიორიტეტულ სასწავლო პროგრამებზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის დადგენის პროცესი და შეადარა საერთაშორისო პრაქტიკას; ასევე გამოკითხა 350 კურსდამთავრებული იმის დასადგენად, დასაქმდნენ თუ არა საკუთარი

პროფესიით; დაამუშავა მონაცემთა ბაზები დასაქმების მაჩვენებლის განსაზღვრისთვის და შეადარა საერთაშორისო პრაქტიკას.

3. რამდენად უზრუნველყოფს სამინისტროს მიერ დანერგილი მექანიზმები სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას:

3.1.1 რამდენად უზრუნველყოფს დაფინანსების მოდელი ფინანსური რესურსის პროდუქტიულად ხარჯვას: კითხვაზე პასუხის გასაცემად, აუდიტის ჯგუფმა განახორციელა დაფინანსების მოდელისა და მასთან დაკავშირებული სტატისტიკის ანალიზი, პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუები, გაეცნო საერთაშორისო პრაქტიკას, ჩაატარა მოდელის განმსაზღვრელი ნორმატიული აქტებისა და დოკუმენტაციის ანალიზი.

3.1.2 პროგრამის ფარგლებში დანერგილი მექანიზმები რამდენად უწყობს ხელს პროგრამის სათანადო მონიტორინგს: აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა შესაბამისი მარეგულირებელი ნორმები, ჩაატარა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან, გაეცნო შესაბამის საერთაშორისო პრაქტიკას. საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, გაანალიზა სახელმწიფოს მიერ კონკრეტული პროგრამის ფარგლებში განათლებაზე გაწეული ინვესტიციების ეფექტიანობა. გაანალიზა აბიტურიენტების მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დაფიქსირებული აკადემიური შედეგები, მოპოვებული გრანტის ოდენობა და აბიტურიენტების მიერ გაკეთებული არჩევანი. ასევე გამოჰკითხა 350 კურსდამთავრებული, რომლებიც განათლებას იღებდნენ პრიორიტეტულ სასწავლო მიმართულებებზე – იმის დასადგენად, თუ რა მიზნით აირჩიეს მოცემული სასწავლო პროგრამა.

კურსდამთავრებულების გამოკითხვა: აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა იმ კურსდამთავრებულების გამოკითხვა, რომლებიც განათლებას იღებდნენ პრიორიტეტულ სასწავლო პროგრამებზე. სტრატეგიზირებული¹¹ შერჩევის მეთოდით, 1,744 კურსდამთავრებულიდან გამოიკითხა 350 პირი. შერჩევამ მოიცვა კურსდამთავრებულები 8 სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სადაც მიმდინარეობდა აღნიშნულ პროგრამებზე სწავლება.

სოციალური უკუგების გამოთვლა (Public IRR)

აღნიშნული ინდიკატორი უმაღლესი განათლების სარგებლის საზომია ეკონომიკური კუთხით და ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ. შედარების მიზნით, აუდიტის ჯგუფმა იხელმძღვანელა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ შერჩეული ანალოგიური მეთოდოლოგიით.

¹¹ გულისხმობს პოპულაციის დაყოფას სტრატეგად, კონკრეტული მახასიათებლის მიხედვით და ყოველი სტრატეგიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, გამოსაკითხი ჯგუფის შექმნას.

$IRR = \frac{\sum \text{მომავალი შემოსავლები}}{\sum (1+r)^t}$ – საწყისი ინვესტიცია

$$\sum (1+r)^t$$

მომავალი შემოსავლები = კურსდამთავრებულების ხელფასს საპენსიო ასაკამდე პერიოდის გათვალისწინებით; დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 41%-ს, საშუალო ხელფასი – 860 ლარს, ხოლო საკუთარი პროფესიით დასაქმებულების მაჩვენებელი 50%-ს.

r = საპროცენტო განაკვეთს, 2,3%, რომელიც ასახავს ქვეყანაში დაფიქსირებულ ინფლაციის დონეს;

$$t = 43;$$

საწყისი ინვესტიცია – იგულისხმება სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები, რაც მოიცავს 4 წლის განმავლობაში როგორც პროგრამული დაფინანსების ფარგლებში გაწეულ ხარჯებს, ისე სხვა სახელმწიფო ტრანსფერებს, როგორიცაა, სახელმწიფო სასწავლო გრანტი.

1.4 აუდიტის კრიტერიუმები

სისტემის პროდუქტიულად და ეფექტიანად ფუნქციონირების შეფასების მიზნით, აუდიტის პროცედურების ჩატარებისას გამოყენებულია შემდეგი კრიტერიუმების წყაროები:

-)/ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
-)/ ქვეყნის განვითარების ძირითადი მიმართულებების დოკუმენტები;
-)/ შესაბამისი უწყებების სამოქმედო გეგმები და სტრატეგიები;
-)/ შრომის ბაზრის კვლევები;
-)/ საერთაშორისო პრაქტიკა;
-)/ საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები.

აუდიტის კითხვების მიხედვით, გამოყენებულია შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი – 2018-2020 და 2019-2022 წლები

დოკუმენტებში გაწერილია პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის საფუძვლები, კერძოდ:

„უმაღლესი განათლება დაეფუძნება ეკონომიკის საჭიროებებს და მოთხოვნებს. შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრება და დაფინანსდება უმაღლესი განათლების

პრიორიტეტული მიმართულებები. შედეგად, გაიზრდება სტუდენტებისა და მომავალი დასაქმებულების კონკურენტუნარიანობა და შრომის ბაზრისათვის მზაობის ხარისხი“;¹²

„უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელი ორიენტირებული იქნება სწორედ იმ მიმართულებებისა და სპეციალობების გაძლიერებაზე, რომლებიც ქვეყნის განვითარების საჭიროებებთან, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკის გაძლიერებასთან არის დაკავშირებული და რომელთა განსაზღვრაც ხორციელდება სისტემური და რეგულარული ანალიზის საფუძველზე“.¹³

საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია

სტრატეგია განსაზღვრავს ძირითად მიმართულებებსა და აქტივობებს შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული სწავლების სისტემის განვითარების მხარდასაჭერად. კონკრეტულად, შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, დასაქმების მხარდაჭერისა და უმუშევრობის შემცირებისათვის უმნიშვნელოვანესია შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული და უმაღლესი სწავლების სისტემის განვითარების მხარდაჭერა.¹⁴

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია – 2017-2021 წლები

სტრატეგია განსაზღვრავს, რომ უმაღლესი განათლების სისტემა უნდა პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს და შესაბამისობაში უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. მნიშვნელოვანია, ჩატარდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის კვლევა და საგანმანათლებლო პროგრამები ორიენტირდეს შრომის ბაზართან.¹⁵

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესი და პირობები

დოკუმენტი განსაზღვრავს პრიორიტეტულ პროგრამულ მიმართულებებს, სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის მიზანსა და დაფინანსების ოდენობას.¹⁶ დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს პროგრამული

¹² ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები – 2019-2022 წლები, გვ. 5.

¹³ ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები – 2019-2022 წლები, გვ. 38.

¹⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება N167, საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია, მუხლი 3, პუნქტი 3.5.

¹⁵ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია – 2017-2021, გვ. 36.

¹⁶ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N79/ნ, 2013 წლის 24 ივნისი, მუხლი 2, პუნქტი „ბ“.

დაფინანსების მიმღებ უფლებამოსილ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და დაფინანსების მიღების შეზღუდვებს.

საერთაშორისო პრაქტიკა

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კვლევა „უმაღლესი განათლების მნიშვნელობა განათლებული საზოგადოებისთვის“: კვლევაში წარმოდგენილია ევროპის ქვეყნების მიერ დანერგილი უმაღლესი განათლების სისტემის მოდელები, მათ შორის, სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ გამოყენებული დაფინანსებისა და მონიტორინგის სისტემის ანალიზი.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კვლევა „უმაღლესი განათლების მიმოხილვა“: კვლევაში განხილულია უმაღლესი განათლების სარგებლის საზომი ეკონომიკური კუთხით და ამ კუთხით მიღწეული შედეგები სხვადასხვა სახელმწიფოს მაგალითზე.

ევროპის კომისიის კვლევა „უმაღლესი განათლების დაფინანსება“: კვლევაში წარმოდგენილია დაფინანსების მოდელის ანალიზი კონკრეტული ქვეყნების მაგალითზე, ანგარიშში განხილულია ჩეხეთის უმაღლესი განათლების სისტემა, მათ შორის, დასაფინანსებელი მიმართულებების და სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის მოდელი.

ევროპის სტატისტიკის სამსახურის კვლევა: ევროპის ქვეყნების მაგალითზე კვლევაში წარმოდგენილია იმ კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი, რომლებმაც სწავლა დაასრულეს 1-დან 3 წლამდე პერიოდში.


2 ზოგადი ინფორმაცია

2.1 სფეროს აღწერა

სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სფეროში, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოა. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტრო ახორციელებს თავის დაქვემდებარებაში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს, უზრუნველყოფს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სრულყოფას.¹⁷

სამინისტროს მიერ შემუშავდა პრიორიტეტული მიმართულებების პროგრამული დაფინანსების მექანიზმი. 2013 წლიდან სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება პრიორიტეტული სასწავლო პროგრამები ბაკალავრიატის საფეხურზე.¹⁸

სქემა N2.1.1 პრიორიტეტული მიმართულებების ჩამონათვალი და სასწავლო პროგრამების განმახორციელებელი უნივერსიტეტები



მინისტრის ბრძანებებით¹⁹ ყოველწლიურად მტკიცდება პრიორიტეტული მიმართულებები, რომლის ფარგლებში თითოეული უნივერსიტეტის მიხედვით განისაზღვრება

¹⁷ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულება, მუხლი 2, პუნქტი 1.

¹⁸ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი სტრატეგია – 2017-2021.

¹⁹ ბრძანებები: N79/ნ, 2013 წლის 24 ივნისი; N50/ნ, 2014 წლის 15 აპრილი; N43/ნ, 2015 წლის 15 მაისი; N81/ნ, 2016 წლის 27 ივლისი; N135/ნ, 2017 წლის 17 აგვისტო.

პრიორიტეტული სასწავლო პროგრამები, ასევე მტკიცდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესი, პირობები და შესაბამისი ოდენობა. პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახორციელებს სამინისტროს აპარატი სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

პროგრამული დაფინანსების მიზნებია:

- 1) უმაღლესი განათლების სფეროში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივად გამოყენების ხელშეწყობა;
- 2) პრიორიტეტული პროგრამული მიმართულებების განვითარება და ახალგაზრდების დაინტერესება აღნიშნული მიმართულებით სწავლის გასაგრძელებლად.

პროგრამაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტში არსებული უმაღლესი განათლების განვითარების სამმართველო, რომლის კომპეტენცია სხვა საკითხებთან ერთად არის: სისტემის სრულყოფის მიზნით, უმაღლესი განათლების დაფინანსების შესახებ წინადადებების მომზადება,²⁰ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობის კვლევა და ანალიზი ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადობისა და შესაბამისობის დადგენის მიზნით²¹ და არსებული პრიორიტეტების წარმოჩენა და მათი შესრულების მონიტორინგი.


სტუდენტს პრიორიტეტულ სასწავლო პროგრამებზე სწავლების უფლების მოპოვება შეუძლია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად, რის შემდეგ სახელმწიფო სრულად აფინანსებს მას.

მიმართულებების პრიორიტეტად განსაზღვრის შემდეგ, შესაბამის პროგრამებზე სტაბილურად იზრდება ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა.

²⁰ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულება.

²¹ www.eqe.ge

გრაფიკი N2.1.1 2012-2017 წლებში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა



სამინისტრო თითოეული უნივერსიტეტისათვის ადგენს მისაღები სტუდენტების რაოდენობის ჯამურ ლიმიტს, ხოლო უსდ, მოცემული ლიმიტის გათვალისწინებით, უფლებამოსილია განსაზღვროს სასწავლო პროგრამაზე დასაფინანსებელი სტუდენტების რაოდენობა.

აკრედიტაციის სტანდარტის მიხედვით, საუნივერსიტეტო პროგრამების ფორმირებასა და განსაზღვრაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ენიჭებოდეს კონკრეტული დარგების მიხედვით შრომის ბაზრის მოთხოვნას. ქვეყანაში უმაღლესი განათლების მიზნებისთვის არ მოიპოვება საკმარისი და რელევანტური ინფორმაცია მოცემული კუთხით.

ქვეყანაში სხვადასხვა დროს ჩატარებულია შრომის ბაზრის ორი კვლევა, რომელიც განხორციელდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით²² დამტკიცდა შრომის ბაზრის ანალიზისა და საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების 2018 წლის სახელმწიფო პროგრამა, რომელსაც ახორციელებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტი. ერთეულის ფუნქციებში შედის საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესწავლა და შეფასება, კერძო სექტორთან თანამშრომლობით შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიებისა და კვალიფიკაციების

²² 2018 წლის 15 იანვრის N12 დადგენილება „შრომის ბაზრის ანალიზისა და საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების 2018 წლის სახელმწიფო პროგრამა“.

გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება სამინისტროს ხელმძღვანელობისა და სხვა დაინტერესებული უწყებებისთვის.


სამინისტრო უფლებამოსილია შექმნას უნივერსიტეტების მიერ მიღწეული შედეგების შეფასების კომისია. ასევე მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტი ვალდებულია სამინისტროს წარუდგინოს ინფორმაცია პროგრამული დაფინანსების ფარგლებში დასახული მიზნების შესრულების შესახებ და ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემდეგ, სამინისტროს წარუდგინოს ინფორმაცია პროგრამული დაფინანსების ფარგლებში დასახული მიზნების შესრულების თაობაზე.

2.2 პრიორიტეტული პროგრამების დაფინანსება

სამინისტრო ყოველწლიურად განსაზღვრავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე დაფინანსების გაცემის წესსა და პირობებს.

უმაღლეს საგანმანათლებლო პრიორიტეტულ პროგრამებზე 2013-2017 სასწავლო წლებში გახარჯულია **145,494,763 ლარი**, სადაც პროგრამულ დაფინანსებაზე გაწეული ხარჯი შეადგენდა **129,534,325 ლარს**, ხოლო სახელმწიფო სასწავლო გრანტის წილი – **15,960,438 ლარს**.

გრაფიკი N 2.2.1 2013-2017 წლებში პრიორიტეტული პროგრამების დაფინანსება



2017 წლამდე პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების ოდენობის კალკულაცია ხდებოდა შემდეგი პრინციპით: თითოეული პრიორიტეტული პროგრამის მიხედვით წლიური დაფინანსების ოდენობა შეადგენდა 33,750 ლარს, რომელიც უნივერსიტეტს ერიცხებოდა 1-დან

15-ის ჩათვლით ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით, ხოლო 15 სტუდენტის შემდგომ, ჩარიცხულ ყოველ ექვს სტუდენტამდე, პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, ყოველწლიურად გაიცემოდა 11,250 ლარი.

პროგრამული დაფინანსების გარდა, უნივერსიტეტს ერიცხებოდა სტუდენტის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტი 2,250 ლარის ოდენობით. შესაბამისად, უნივერსიტეტი სამინისტროს მხრიდან სტუდენტების რაოდენობის მიხედვით იღებდა დაფინანსებას როგორც პროგრამული, ასევე სახელმწიფო სასწავლო გრანტის სახით.

2017 წლიდან²³ დაფინანსების მოდელი შეიცვალა, რომლის მიხედვით დაუშვებელია პროგრამული დაფინანსების ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობის მქონე სტუდენტის დაფინანსება. ასევე, თუ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულმა სტუდენტმა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, მისი სწავლის საფასური შეივსება უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის ოდენობამდე, მაგრამ არა უმეტეს 2,250 ლარისა.

ამასთანავე, დაფინანსება ხორციელდება მხოლოდ სამინისტროს მიერ წინასწარ განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით, ხოლო დანარჩენი სტუდენტების დაფინანსება – სახელმწიფო სასწავლო გრანტის საფუძველზე, მისი მოპოვების შემთხვევაში ან სტუდენტი თავად ფარავს საფასურს.

²³ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N135/ნ – „2017-2018 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“.

2.3 საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა

სასწავლო პროგრამების ადმინისტრირება და დასაფინანსებელი სტუდენტების რაოდენობის დადგენა

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, უმაღლესი განათლების სისტემაში არსებობს პრიორიტეტების განსაზღვრის განსხვავებული მიდგომები, რომლებიც ძირითადად ქვეყნის საჭიროებებზეა მორგებული.

მაგალითისთვის განხილულია ჩეხეთის განათლების სამინისტროს მიერ განსაზღვრული უმაღლესი განათლების ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა, რომელიც დაკავშირებულია აუდიტის ანგარიშში წარმოდგენილ საკითხებთან:

პრიორიტეტული ამოცანა: საზოგადოების მოთხოვნებისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განახლება და საჭიროებებზე მორგება.

მიღწევის გზები: მიზნის მისაღწევად საჭიროა რამდენიმე სამინისტროს შორის კოორდინაციის გაძლიერება. კერძოდ, მნიშვნელოვანია შრომისა და სოციალური საკითხების სამინისტროს, განათლების სამინისტროსთან და სხვა პასუხისმგებელ სამინისტროებთან თანამშრომლობის გაუმჯობესება მონაცემების მიმოცვლისა და გამოცდილების გაზიარების კუთხით. აღნიშნული პროცესი გაამარტივებს შრომის ბაზრის საჭიროებების დადგენას, კურსდამთავრებულთა კარიერის განვითარების ხელშეწყობას და უმაღლეს განათლებაში მიღწეული საბოლოო შედეგების რელევანტურობის დადგენას ქვეყნის საერთო მიზნებთან მიმართებაში.²⁴

დაფინანსების მოდელი

დაფინანსების მექანიზმები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების ისეთი მიზნების უზრუნველსაყოფად, როგორებიცაა ხარისხი, პროდუქტიულობა, თანასწორობა და სისტემის ფუნქციონირება. დაფინანსების ფორმულა მრავალი ფაქტორისგან შედგება. ზოგიერთი მათგანი დაკავშირებულია უნივერსიტეტის სპეციფიკასა და სიდიდესთან, თუმცა ასევე გამოყენებულია ერთგვაროვანი ინდიკატორები, რომლებიც გვხვდება თითქმის ყველა ქვეყანაში.

დაფინანსების ფორმულაში ქვეყნები სულ უფრო ხშირად იყენებენ ხარისხობრივ ინდიკატორებს, მაგალითად: მინიჭებული ხარისხის (გაცემული დიპლომების) რაოდენობა

²⁴ The Strategic Plan for the Scholarly, Scientific, Research, Development and Innovation, Artistic and Other Creative Activities of Higher Education Institutions for 2016–2020, p.15–19.

გვხდება შემდეგ ქვეყნებში: ბელგია, ჩეხეთი, ფინეთი, ჰოლანდია, პორტუგალია და ესპანეთის ზოგიერთი რეგიონი.

სტუდენტების მიერ დაგროვებული კრედიტების რაოდენობა და სწავლის საშუალო ხანგრძლივობა გამოყენებულია ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ბელგია, ესპანეთის ზოგიერთი რეგიონი, შვედეთი, შვეიცარია.

სამხრეთ კორეა, გარდა ზემოხსენებული ფაქტორებისა, ახორციელებს უნივერსიტეტების ინოვაციური მცდელობების შეფასებას. ავსტრალიაში გათვალისწინებულია სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, სტუდენტების პროგრესი და დასაქმების მაჩვენებლები. იაპონია სახელმწიფო უნივერსიტეტებზე დაფინანსების გასაცემად იყენებს შეფასების კომისიის მიერ გაკეთებულ ხარისხის შეფასების დასკვნას.

ჰოლანდიის მაგალითი იმ სისტემის კარგი ილუსტრაციაა, რომელიც იყენებს როგორც გამოყენებული რესურსების (input), ასევე მიღწეული შედეგების (output) საზომებს. თანხა ნაწილდება შედარებით მარტივი ფორმულით, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ⌋ დაფინანსების საბაზისო კომპონენტი²⁵ – 37%;
- ⌋ შედეგების კომპონენტი (გამოითვლება დიპლომების რაოდენობით) – 50%;
- ⌋ სტუდენტების რაოდენობის კომპონენტი – 13%.

დაფინანსების ოდენობა დამოკიდებულია განსახორციელებელ აქტივობებზე, რომელიც უნივერსიტეტის მიხედვით ინდივიდუალურად თანხმდება სამინისტროსთან. დაფინანსების დროს ითვალისწინებენ ისეთ ინდიკატორებს, როგორებიცაა: სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, წარმატებული სტუდენტების მაჩვენებლის გაზრდა, ინსტიტუციური პროფილის შექმნა და საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნების გაზრდა. თითოეული უნივერსიტეტი ხელშეკრულებაში მიუთითებს, როგორ აპირებს მოცემული მაჩვენებლების გაუმჯობესებას.²⁶

ზოგიერთი ქვეყანა სასწავლო პროგრამებისა და სტუდენტების დაფინანსებისას ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მაგალითად, ფინეთი შრომის ბაზრის პროგნოზზე დაყრდნობით ფინანსურ რესურსებს ანაწილებს უნივერსიტეტებსა და სასწავლო პროგრამებს შორის, ხოლო ესტონეთში სტუდენტებს სახელმწიფო აფინანსებს გარკვეულ

²⁵ უსდ-ის ფუნქციონირების მიზნით გაწეული ფიქსირებული ხარჯებისთვის <https://www.education.govt.nz/school/running-a-school/resourcing/operational-funding/operational-funding-components/>

²⁶ https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/higher-education-funding-53_en

დისციპლინებში კურსდამთავრებულთა რაოდენობისა და შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების ხარისხის მქონე სპეციალისტების საჭიროების გათვალისწინებით.

მონიტორინგის სისტემა უნივერსიტეტების მიერ მიღწეული შედეგების შესაფასებლად

მაღალგანვითარებული ქვეყნები ორიენტირებულნი არიან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური თავისუფლების განვითარებასა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაძლიერებაზე. აღნიშნული მოდელი ცნობილია „ფასილიტაციის მოდელის“ სახელით და გამოიყენება, როგორც სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ, ისე კერძო უმაღლეს სასწავლებლებში.

გამოყოფენ უსდ-ების სახელმწიფო მართვის ორ ფართოდ გავრცელებულ მოდელს. პირველი მოდელის მიხედვით, უნივერსიტეტები საჯარო სამართლის იურიდიულ პირები არიან და უშუალოდ ექვემდებარებიან სახელმწიფო კონტროლს, თუმცა სარგებლობენ აკადემიური თავისუფლებით. მეორე მოდელის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები არიან სრულად დამოუკიდებლები, თუმცა გააჩნიათ პასუხისმგებლობა, შეიტანონ წვლილი სახელმწიფო მიზნების განხორციელებაში.²⁷

იმ მოდელებში, სადაც უსდ-ები ქვეყანაში მოქმედი რეგულაციების მიხედვით, არსებითად დამოუკიდებელი არიან სახელმწიფო მმართველობისგან, აქცენტები კეთდება იმაზე, თუ რა მექანიზმებით გახადონ უსდ-ები მეტად ანგარიშვალდებულნი, წვლილი შეიტანონ საჯარო მიზნების მიღწევაში. აღნიშნულის მისაღწევად დანერგილია მონიტორინგის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს უსდ-ების საქმიანობის შუალედური და საბოლოო შედეგების ანალიზს, რაც გულისხმობს უნივერსიტეტების მიერ სამინისტროსთვის მათი საქმიანობის შესახებ მუდმივ ანგარიშგებას. ასეთი მოდელები გვხვდება ჰოლანდიასა და ანგლო სისტემებში – დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, სამხრეთ აფრიკა, ახალი ზელანდია და ავსტრალია.

უმაღლესი განათლების პროგრამების დაგეგმვისას უსდ-ები ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, საჭიროებები და მიზნები. საბჭოს²⁸ მეშვეობით, ეროვნული განვითარების მიზნები რეალიზდება ინსტიტუციურ დონეზე კონკრეტული გასატარებელი ღონისძიებების სახით.

²⁷ Tertiary Education for the Knowledge Society Volume 1 p. 90.

²⁸ სამინისტროს მიერ შექმნილი ერთეული, რომელიც დაკომპლექტებულია სხვადასხვა დარგის სპეციალისტებით და პასუხისმგებელია განათლების სისტემაში არსებულ პოლიტიკაზე.

უნივერსიტეტები, თავის მხრივ, თანამშრომლობენ ადგილობრივ ან/და ცენტრალურ სახელმწიფო სტრუქტურებთან, ეროვნული პრიორიტეტების დეტალურად გაზიარებისთვის. უსდ-ები საბჭოს წარუდგენენ გეგმას, რომელიც შეესაბამება ეროვნულ პრიორიტეტებს. აღნიშნულის საფუძველზე გაიცემა მრავალწლიანი დაფინანსება, რომლის გახანგრძლივება დამოკიდებულია უსდ-ების შედეგებსა და მათ წვლილზე ეროვნული მიზნების მიღწევაში.

აუდიტის მიგნებები

3 პროგრამის დაგეგმვის ნაკლოვანებები

3.1 პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის ნაკლოვანებები

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2018-2021 წლების დოკუმენტის მიხედვით, უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისა და დაფინანსების საფუძველი უნდა იყოს შრომის ბაზრის ანალიზი,²⁹ ხოლო იმავე დოკუმენტის მომდევნო ვერსიის მიხედვით, ქვეყნის მიზანია განათლების ისეთი რეფორმის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების პროგრამების ეფექტიან ბმას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. აღნიშნული გულისხმობს იმ მიმართულებებისა და სპეციალობების გაძლიერებას, რომლებიც ქვეყნის განვითარების საჭიროებებთან და ეკონომიკის გაძლიერებასთან არის დაკავშირებული და რომელთა განსაზღვრა უნდა ხორციელდებოდეს სისტემური და რეგულარული ანალიზის საფუძველზე.³⁰

2013 წლიდან მთავრობის დადგენილებით³¹ ყოველწლიურად განისაზღვრება უმაღლესი განათლების საბაკალავრო პროგრამების პრიორიტეტული მიმართულებები და სამინისტრო განსაზღვრავს მისაღები სტუდენტების რაოდენობას. აღნიშნულ მიმართულებებზე სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო.

2013 წლის მდგომარეობით დადგინდა 7 პრიორიტეტული მიმართულება, სადაც ერთიანდებოდა 16 სასწავლო პროგრამა, ხოლო 2018 წლის მონაცემებით, იმავე 7 მიმართულების მიხედვით – 52 სასწავლო პროგრამა.

პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისას, სამინისტროს მიერ არ იყო ჩატარებული შესაფერისი კვლევები უმაღლესი განათლების მიმართულებებისა და ქვეყნის საჭიროებების თანხვედრის დასადგენად. ამასთანავე, მოცემული პერიოდისთვის ქვეყანაში არ არსებობდა შრომის ბაზრის სათანადო კვლევა. შესაბამისად, არ არის დადასტურებული მოცემული მიმართულებების თავსებადობა შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ქვეყნის მიზნებთან.

²⁹ <https://mof.ge/images/File/BDD/28-09-2017-BDD-2018-2021.pdf> ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2019-2022 წლების დოკუმენტი, განათლების რეფორმა, გვ. 3.

³⁰ <https://mof.ge/images/File/mimartulebebi/19-22-BDD-PIRVELADI-04.07.2018.pdf> ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2019-2022 წლების დოკუმენტი, უმაღლესი განათლება, გვ. 38.


³¹ მთავრობის დადგენილებები: N66, 2013 წლის 28 მარტი; N248, 2014 წლის 20 მარტი; N180, 2015 წლის 24 აპრილი; N158, 2016 წლის 1 აპრილი; N359, 2017 წლის 24 ივლისი.

პროგრამის პრიორიტეტად განსაზღვრის ერთ-ერთი საფუძველია დარგის ხელშეწყობა, რაც გულისხმობს აბიტურიენტების ისეთი მიმართულებებით დაინტერესებას, რომლებიც არ სარგებლობენ პოპულარობით, ფიქსირდება სტუდენტების დაბალი რიცხოვნობა, მაგრამ ქვეყნის საჭიროებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი სფეროა.

ქვეყნის მასშტაბით იკვეთება ისეთი შემთხვევები, როდესაც დარგი მიჩნეულია პრიორიტეტად, მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებში სტუდენტების მხრიდან ფიქსირდებოდა მაღალი მოთხოვნა და გამოირჩეოდა ადგილების მაღალი ათვისებით.

მაგალითისთვის განხილულია ეკონომიკის სასწავლო პროგრამა: სამინისტროს მიერ წლების მიხედვით განსაზღვრულია მისაღები ადგილების რაოდენობა, რომლის დინამიკა მკვეთრად მზარდია, თუმცა ამ მიმართულებით შრომის ბაზარზე კადრების საჭირო რაოდენობა არ არის შეფასებული.³²

გრაფიკი N 3.1.1 ეკონომიკის ფაკულტეტზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა



ამის საპირისპიროდ, ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც წლების მანძილზე პროგრამაზე ირიცხებოდა მცირე რაოდენობის სტუდენტი, მაგრამ მიმართულება არ არის მიჩნეული ისეთ დარგად, რომელსაც სჭირდება პოპულარიზაცია და შესაბამისად, არ ხვდება პრიორიტეტული მიმართულებების სიაში, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნისთვის აქტუალური გამოწვევაა.

მაგალითისთვის წარმოდგენილია რამდენიმე შემთხვევა, რომელიც არ არის აღიარებული პრიორიტეტულ სასწავლო პროგრამად ან აღიარებულია მხოლოდ 2017-2018 სასწავლო წელს.

³² საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებები: N796 (2013 წელი), N506 (2014 წელი), N 436 (2015 წელი), N816 (2016 წელი), N1356 (2017 წელი).

გრაფიკი N3.1.2 2012-2017 წლების სტუდენტების ჯამური მაჩვენებელი იმ სასწავლო პროგრამების მიხედვით, სადაც დაფიქსირდა ჩარიცხვების ყველაზე დაბალი რაოდენობა



ინკლუზიური განათლება

ქვეყნისთვის აქტუალური საკითხია ინკლუზიური განათლების სისტემის შექმნა, რომლის სასკოლო და სკოლამდელ სივრცეში დანერგვა სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. მოცემულ სფეროში კადრების სიმცირის გამო, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დასაქმებული სპეციალური მასწავლებლების დიდ უმრავლესობას არ გააჩნია აკადემიური ხარისხი ინკლუზიური განათლების მიმართულებით, რაც საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულია, როგორც აუცილებელი პირობა. ამასთანავე, სპეციალური მასწავლებლის პროფესიაზე მოთხოვნა მზარდია, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად იზრდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართვა.³³ ასევე „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში ყურადღება გამახვილებულია სპეციალური მასწავლებლისთვის ინკლუზიური მიმართულებით კვალიფიკაციის ფლობის მნიშვნელობაზე.

2013 წლიდან 7 პრიორიტეტული მიმართულებიდან ერთ-ერთი მიმართულებაა განათლების მეცნიერებები. ინკლუზიური განათლების სასწავლო პროგრამაზე ირიცხებოდა 50 სტუდენტი, რაც განათლების მიმართულების სხვა პროგრამებთან შედარებით საშუალოზე დაბალი მაჩვენებელია. მიუხედავად ამისა, ინკლუზიური განათლების პროგრამა არ ხვდება პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების ჩამონათვალში, ხოლო ამავე პერიოდში განათლების

³³ www.sao.ge

მიმართულებით პრიორიტეტად მიჩნეულია ისეთი პროგრამა, როგორცაა, მაგალითად დაწყებითი განათლება. 2012 წლის მონაცემებით, აღნიშნულ პროგრამაზე ირიცხებოდა 290 სტუდენტი. აღსანიშნავია, რომ პრიორიტეტად გამოცხადებამდე მოცემული პროგრამა გამოირჩეოდა ადგილების თითქმის სრული – 90%-იანი ათვისებით, ხოლო 2013 წლიდან აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტების მოზიდვის კუთხით, სურათი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა

ქვეყანაში აქტუალური პრობლემაა შრომის უსაფრთხოების რისკების შეფასება და მართვა, ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში ფაქტორებისა და მოსალოდნელი უბედური შემთხვევების განსაზღვრა, რომელიც აკადემიურ დონეზე ისწავლება საინჟინრო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სასწავლო პროგრამაზე. მოცემული პროგრამა მიჩნეულია პრიორიტეტულად მხოლოდ 2017 წლიდან, მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე სტუდენტების მხრიდან არსებული დარგის მიმართ ფიქსირდებოდა ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მოთხოვნა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიმართულება მიეკუთვნება ინჟინერიის ფაკულტეტს, რომელიც 2013 წლიდან აღიარებულია, როგორც პრიორიტეტული მიმართულება და ამავე სფეროში პრიორიტეტულ სასწავლო პროგრამებად დასახელებულია დარგები, სადაც სტუდენტების ჩარიცხვის კუთხით ფიქსირდება მინიმუმ 2-ჯერ მაღალი მოთხოვნა.

გარდა ზემოთ აღნიშნული მაგალითებისა, ფიქსირდება ისეთი შემთხვევა, როდესაც სამინისტროს მიერ დარგი მიჩნეულია პრიორიტეტად, მაგრამ მოცემულ სასწავლო პროგრამაზე უნივერსიტეტები არ აცხადებდნენ მიღებას. ასეთ შემთხვევას განეკუთვნება სასწავლო პროგრამა – ვეტერინარია. 2013 წელს სამინისტრომ ვეტერინარია აღიარა პრიორიტეტულ სასწავლო პროგრამად, თუმცა მომდევნო 4 წლის მანძილზე არც ერთი უნივერსიტეტის მხრიდან არ გამოცხადებულა მისაღები ადგილები, შესაბამისად, არ ფიქსირდება სტუდენტების ჩარიცხვა.³⁴

2017 წლიდან უნივერსიტეტები უფლებამოსილნი არიან დადგენილი პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით თავად განსაზღვრონ დამატებითი სასწავლო პროგრამები. საბაზისო წელთან დაკავშირებით, 3,5-ჯერ გაზრდილია პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების რაოდენობა, რამაც გამოიწვია ფინანსური რესურსის ზრდა, თუმცა

³⁴ შესაბამისად, არ არის გახარჯული სახელმწიფო სახსრები.

პროგრამების რაოდენობის ზრდის საჭიროება არ არის დადასტურებული შესაბამისი კვლევებით.

გრაფიკი N3.1.3 პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების რაოდენობა



მაგალითისთვის განხილულია ქვემოთ მოცემული შემთხვევები:

2017 წელს საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა არსებულ პრიორიტეტულ სასწავლო პროგრამებს დაამატა 11 პროგრამა, რომელზეც აუდიტის პერიოდისთვის ირიცხებოდა 312 სტუდენტი, რაც წლიურ დაფინანსებას ზრდიდა, საშუალოდ, 585,000 ლარით. მათ შორის, დამატებულია ისეთი პროგრამები, რომლებიც ჩარიცხვების რაოდენობით სხვა პროგრამებთან შედარებით მოწინავე ადგილს იკავებს, მაგალითად, სამთო გეოინჟინერია.

ანალოგიური შემთხვევა ფიქსირდება სსიპ – აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 2018 წელს, არსებულ პრიორიტეტულ სასწავლო პროგრამებს დაემატა 14 პროგრამა. მათ შორის, ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა: გერმანული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა და ლიტერატურა და აღმოსავლური ფილოლოგია.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტების მიერ სასწავლო პროგრამების პრიორიტეტად აღიარებისას, სამინისტრო არ ითხოვს შესაბამისი კვლევების წარდგენას საჭიროების დასაბუთების მიზნით, რამაც გამოიწვია პროგრამების რაოდენობის მკვეთრი ზრდა.

აღნიშნული ნაკლოვანების მიზეზია ის ფაქტი, რომ სამინისტროს არ აქვს შემუშავებული მექანიზმი, რომლის მიხედვით შეფასდება უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი პრიორიტეტული მიმართულება, კერძოდ, რამდენად არის დაკავშირებული კონკრეტული დარგი ქვეყნის საჭიროებებთან. შედეგად, იზრდება რისკი, რომ უსდ-ების მიერ შერჩეული

მიმართულება არ იქნება მორგებული არც ქვეყნის მიზნებთან და არც შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

სათანადო კვლევების გარეშე, პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა ზრდის რისკს, რომ შერჩეული იქნება ისეთი დარგები, რომლებიც ნაკლებად აქტუალური იქნება ქვეყნისთვის.

3.2 პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისას შრომის ბაზრის ტენდენციების უგულებელყოფა

მთავრობის მიერ შემუშავებულია შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია,³⁵ სადაც ერთ-ერთი პუნქტია შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებული სწავლების სისტემა. კერძოდ, შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, დასაქმების მხარდაჭერისა და უმუშევრობის შემცირებისათვის მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული და უმაღლესი სწავლების სისტემის განვითარების მხარდაჭერა.³⁶

გარდა ამისა, უმაღლესი განათლების პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების ერთ-ერთი პუნქტია პროგრამის ადმინისტრირებისას შრომის ბაზრის ტენდენციების გათვალისწინება. სტანდარტების შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს;³⁷ ასევე საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.³⁸

დღეისათვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებულია შრომის ბაზრის ორი კვლევა: 2015 წელს ჩატარებული კვლევა ძირითადად ორიენტირებული იყო პროფესიულ განათლებაზე, ხოლო 2017 წელს განხორციელებული კვლევა მოიცავს როგორც პროფესიულ, ასევე უმაღლესი განათლების პროფესიებს, თუმცა დოკუმენტში მხოლოდ ნაწილობრივ და აგრეგირებული

³⁵ საქართველოს მთავრობის 2013 წლის N199 დადგენილება „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია“, 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

³⁶ საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია, მუხლი 3, პუნქტი 3.5.

³⁷ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები, მუხლი 1.1.1.

³⁸ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები, მუხლი 1.1.2.

სახით არის წარმოდგენილი ინფორმაცია პრიორიტეტულ მიმართულებებზე და არ არის განხილული კონკრეტული სპეციალობების მიხედვით. შესაბამისად, აღნიშნული კვლევები სრულად ვერ ასახავს იმ საჭიროებებს, რომლებიც უმაღლესი განათლების პროგრამების დაგეგმვის ეტაპზეა საჭირო.

გარდა ამისა, შესაბამისი სტრუქტურების³⁹ მიერ სათანადოდ არ ხორციელდება დარგების მიხედვით უმაღლესი განათლების სპეციალისტებზე შრომის ბაზრის მოთხოვნის საპროგნოზო მაჩვენებლების გამოთვლა, რაც მნიშვნელოვნად შეიტანდა წვლილს თითოეული მიმართულებით მისაღები სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრისას.

2017 წლის შრომის ბაზრის კვლევაში მხოლოდ რამდენიმე დარგია განხილული იმ ერთობლიობიდან, რომელიც სამინისტროს მიერ აღიარებულია პრიორიტეტულ მიმართულებად.

მაგალითისთვის განხილულია რამდენიმე შემთხვევა შრომის ბაზრის მოთხოვნისა და პრიორიტეტული მიმართულებების თანხვედრის კუთხით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით ბოლო ერთი წლის მანძილზე შრომის ბაზარზე დაფიქსირებული მოთხოვნა.

ცხრილი N3.2.1 ბიზნესის სექტორში ბოლო 12 თვეში არსებული მოთხოვნა ვაკანსიებზე, პრიორიტეტული მიმართულებები⁴⁰


პროფესიები	მოთხოვნის წილი
ფიზიკის, მათემატიკისა და საინჟინრო მეცნიერებების სპეციალისტ-პროფესიონალები	2%
ფიზიკური და ტექნიკური მეცნიერებების სპეციალისტები	2%
სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სპეციალისტ-პროფესიონალები	1%
კვების პროდუქტების მწარმოებელი და მონათესავე პროფესიების მუშაკები	1%
სპეციალისტ-პროფესიონალები განათლების სფეროში	1%
ლითონგადამამუშავებლები, მანქანათმშენებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები	1%
საზოგადოებრივი და მონათესავე მეცნიერებების სპეციალისტ-პროფესიონალები	1%

³⁹ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები

⁴⁰ პროცენტული მაჩვენებელი ასახავს თითოეული მიმართულების წილს მთლიანი ერთობლიობიდან და განხილულია ის დარგები, რომელთა იდენტიფიცირება იყო შესაძლებელი.

ამასთანავე, გამოკითხული საწარმოებიდან, არსებული ვაკანსიების შევსებისას განსაკუთრებული პრობლემური იყო შემდეგი დარგები:

გრაფიკი N 3.2.1 შრომის ბაზარზე არსებული პრობლემური ვაკანსიები⁴¹



წარმოდგენილი დიაგრამიდან⁴² ჩანს, რომ კადრების მოძიების სირთულის კუთხით, რომელიც გულისხმობს როგორც კვალიფიკაციას, ასევე რაოდენობას, პირველ ადგილზეა ფიზიკა, მათემატიკა, საინჟინრო მეცნიერებები, რასაც მოჰყვება საკვები პროდუქტების წარმოების პროფესიონალები და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები, როგორცაა, მაგალითად, ბიოლოგია, ხოლო სოციალური მეცნიერებებიდან, ეკონომიკა იკავებს ბოლო ადგილს 2,4%-ით, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ მიმართულებით კადრის მოძიება არ არის პრობლემური.

იმავე 2016-2017 სასწავლო წელს, უმაღლესი განათლების პრიორიტეტულ პროგრამებზე სამინისტროს მიერ განსაზღვრული დასაფინანსებელი სტუდენტების რაოდენობა ნაწილდება შემდეგნაირად:

⁴¹ პრიორიტეტული მიმართულებები მონიშნულია წყვეტილი ხაზით.

⁴² აუდიტის ჯგუფის მიერ გაანალიზებულია მხოლოდ ის მიმართულებები, რომლებიც განათლების სამინისტროს მიერ პრიორიტეტულ მიმართულებად არის აღიარებული.

გრაფიკი N3.2.2 სამინისტროს მიერ დადგენილი ლიმიტები პრიორიტეტული პროგრამების მიხედვით



დიაგრამიდან ჩანს, რომ სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრისას, შრომის ბაზრის ტენდენციები არ არის ასახული, კერძოდ, ყველაზე პრობლემურ დარგებად მიჩნეული მიმართულებები იკავებს ბოლო ადგილებს, ხოლო პირველ ადგილზეა ეკონომიკა – დაწესებული ადგილების ყველაზე მაღალი რაოდენობით. ასევე, დადგენილი რაოდენობები არ არის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლის პროპორციული.⁴³

უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსების ერთ-ერთი მიზანი სტუდენტების პროფესიული საქმიანობისთვის მომზადება და არსებული ინტელექტუალური კაპიტალის მიზნობრივი გამოყენებაა.⁴⁴

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ერთადერთი მიზანი არ არის მხოლოდ კურსდამთავრებულების დასაქმება და გათვალისწინებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა, დარგის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულების საკუთარი პროფესიით დასაქმება.

2017 წლის მდგომარეობით, ევროკავშირში შემავალი 28 ქვეყნის მონაცემით, იმ უმაღლესი განათლების მქონე პირების დასაქმების საშუალო მაჩვენებელი, რომლებმაც უნივერსიტეტი

⁴³ იხ. გრაფიკი N3.2.4. გრაფიკის ნუმერაცია იქნებ ჩაასწოროთ

⁴⁴ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N81/ნ, მუხლი 2.

ბოლო 3 წლის მანძილზე დაამთავრეს, **82,8%-ია**.⁴⁵ აქედან, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მალტასა – 94,5% და გერმანიაში – 90,9%, ხოლო ყველაზე დაბალი – საბერძნეთსა – 52% და იტალიაში – 55,2%.


აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა, 2017 წლის იმ კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი, რომლებიც განათლებას იღებდნენ პრიორიტეტულ მიმართულებებზე და სრულად ფინანსდებოდნენ სახელმწიფოს მიერ.⁴⁶

2017 წელს სწავლა დაასრულა 1,744-მა სტუდენტმა, აქედან 2018 წლის ივლისის მდგომარეობით, დასაქმებული იყო კურსდამთავრებულების **41%**.

აღნიშნული კონტინგენტიდან უწყვეტად, ბოლო ექვსი თვის მანძილზე დასაქმებული იყო **26%**, ხოლო ერთი წლის მანძილზე გარკვეული პერიოდულობით საქმდებოდა **65%**.

ამასთანავე, კურსდამთავრებულების საშუალო დასაქმების ხანგრძლივობა შეადგენდა **6 თვეს**, ხოლო დასაქმების ყველაზე ხშირად განმეორებადი პერიოდს (მოდა) წარმოადგენდა **ერთი თვე**.

სქემა N3.2.1 ძირითადი მონაცემები კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ



პრიორიტეტული პროგრამების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა 2017 წლის კურსდამთავრებულების გამოკითხვა. გამოკითხვა 350 პირი, ხოლო დასაქმების

⁴⁵ https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Employment_rates_of_recent_graduates

⁴⁶ საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, დასაქმების პერიოდის გასაზომად მიჩნეულია სწავლის დასრულებიდან სულ მცირე 6 თვე. შესაბამისად, ანალიზი არ მოიცავს 2018 წლის კურსდამთავრებულების მონაცემებს და დასაქმების მაჩვენებლის დასადგენად გამოყენებულია 2018 წლის ივლისის მონაცემები.

შეფასების პერიოდად განისაზღვრა 2018 წლის ივლისი, შედეგად ჩანს, რომ გამოკითხული დასაქმებული პირებიდან საკუთარი პროფესიით მუშაობდა მხოლოდ **49%**, ხოლო დანარჩენი 51%, ძირითადად, ისეთ პოზიციებზე იყო, რაც მოითხოვდა იმაზე დაბალ კვალიფიკაციას, რაც მათ მიღებული ჰქონდათ.

მიმართულებების მიხედვით დასაქმებული კურსდამთავრებულების რაოდენობა შემდეგნაირად არის განაწილებული:


გრაფიკი N3.2.3 პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მთლიან ერთობლიობაში



აღსანიშნავია, რომ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები არ გულისხმობს მხოლოდ საკუთარი პროფესიით დასაქმებას.

ამასთანავე, კურსდამთავრებულებთან დაკავშირებით დასაქმების მაჩვენებელი პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

გრაფიკი N3.2.4 პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით დასაქმების მაჩვენებელი კურსდამთავრებულების რაოდენობასთან მიმართებით



განხილული ნაკლოვანების ერთ-ერთი მიზეზია ის ფაქტი, რომ მიუხედავად არსებული რეგულაციებისა და სტანდარტებისა, სახელმწიფოს დონეზე არ არის შემუშავებული სისტემური მიდგომა შრომის ბაზრის საჭიროებების და უმაღლესი განათლების მიზნების ურთიერთკავშირის მისაღწევად.

ამასთანავე, დაინტერესებულ მხარეებს შორის (შესაბამისი სამინისტროები, უსდ-ები და დამსაქმებლები) კოორდინაცია არ არის საკმარისად უზრუნველყოფილი და სათანადოდ არ ხდება არსებული მონაცემების მიმოცვლა.

ტენდენციებისა და მონაცემების გათვალისწინების გარეშე პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და სტუდენტების რაოდენობის დადგენა ზრდის სტრუქტურული უმუშევრობის რისკებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ კურსდამთავრებულების მცირე ნაწილი საქმდება საკუთარი პროფესიით.

შრომის ბაზრის მონაცემების გათვალისწინება საშუალებას მისცემს სამინისტროს და უნივერსიტეტებს, სწორად განსაზღვრონ პრიორიტეტები და შესაბამისი დასაფინანსებელი ადგილების რაოდენობა.

3.3 დასაფინანსებელი სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის ნაკლოვანებები

სამინისტრო უფლებამოსილია თითოეული უნივერსიტეტის მიხედვით დააწესოს მისაღები სტუდენტების რაოდენობის ლიმიტი, ხოლო უნივერსიტეტები, თავის მხრივ, სამინისტროს ყოველწლიურად წარუდგენენ სასწავლო პროგრამების მიხედვით მისაღები სტუდენტების სასურველ რაოდენობას.

აღნიშნული პროცესი განსხვავებულად მიმდინარეობს ევროპის ქვეყნებში. მაგალითად, ჩეხეთის შემთხვევაში,⁴⁷ მისაღები სტუდენტების რაოდენობას (ლიმიტს) ადგენენ ხარისხობრივი ინდიკატორების მიხედვით, როგორებიცაა: კონკრეტული მიმართულებით სამეცნიერო აქტივობის შედეგები, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, სტუდენტების მობილობისა და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები და ა.შ. მოცემული ინდიკატორების ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრება კონკრეტულ სასწავლო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა, რომლებსაც სახელმწიფო დააფინანსებს.

ცხრილი N3.3.1 ჩეხეთის განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული პროგრამის დაფინანსების ინდიკატორები

კონკრეტულ სფეროში კვლევის, განვითარებისა და ინოვაციების შედეგები	30%
სტუდენტების მობილობის მაჩვენებელი	20%
კურსდამთავრებულების რაოდენობა	15%
უნივერსიტეტის საკუთარი შემოსავალი	10%
კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი	10%
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	8%
აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია	4%
შემოქმედებითი აქტივობების შედეგები	3%

საერთაშორისო პრაქტიკისგან განსხვავებით, სამინისტროს შემუშავებული აქვს მხოლოდ ერთ კრიტერიუმზე დაფუძნებული სისტემა, რომლის კალკულაცია დაფუძნებულია მხოლოდ ისტორიულ გამოცდილებაზე და არ ითვალისწინებს ხარისხობრივ ინდიკატორებს. სამინისტროს არ აქვს შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების პრიორიტეტულ მიმართულებებზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის წესი, რაც გულისხმობს სასწავლო პროგრამების მიხედვით ლიმიტების დადგენას და

⁴⁷ https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/higher-education-funding-21_bs

უნივერსიტეტების მიხედვით – მისაღები სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრისას,⁴⁸ ერთგვაროვანი სისტემის შექმნას.

ამასთანავე, მონაცემთა ბაზებიდან ჩანს, რომ ლიმიტების დადგენის პროცესს არ აქვს სისტემური ხასიათი, დროულად არ ხდება მიღწეული შედეგების გათვალისწინება და დადგენილი რაოდენობების კორექტირება. ასევე კონკრეტული მიმართულებების ფარგლებში, უნივერსიტეტებს შორის ლიმიტების განაწილება არ არის ოპტიმალური.

პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, გაანალიზებულია სამინისტროს მიერ დადგენილი ლიმიტები. მაგალითისთვის განხილულია რამდენიმე შემთხვევა:

1. პრიორიტეტული სასწავლო პროგრამა: ისტორია

ისტორიის მიმართულებით სამინისტრომ 2015-2016 სასწავლო წელს უნივერსიტეტების მიხედვით დააწესა შემდეგი ლიმიტები:

უნივერსიტეტი	ლიმიტი	მიღება	ათვისება
ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	60	60	100%
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	55	54	98%
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	150	149	99%
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	50	50	100%
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	25	25	100%
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	120	45	37.5%

სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს 2015-2016 სასწავლო წელს დაუმტკიცდა ლიმიტი 120 ადგილის ოდენობით, საიდანაც შეივსო 45 ადგილი, ხოლო დანარჩენ უნივერსიტეტებში ადგილები თითქმის სრულად აითვისეს. მიუხედავად არსებული შედეგებისა, მომდევნო სასწავლო წელს სამინისტრომ ლიმიტების ოდენობა უნივერსიტეტებში, ძირითადად, უცვლელი დატოვა.

ანალოგიური მაჩვენებლები 2016-2017 სასწავლო წლისთვის წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

⁴⁸ იგულისხმება ის სტუდენტები, რომლებსაც სრულად დააფინანსებს სახელმწიფო.

უნივერსიტეტი	ლიმიტი	ჩარიცხვა	ათვისება
ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	60	60	100%
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	70	62	88%
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	150	150	100%
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	50	50	100%
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	25	25	100%
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	120	35	29%

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში დადგენილი ლიმიტი შეიცვალა მხოლოდ 2017-2018 სასწავლო წელს და შემცირდა 60 სტუდენტამდე, თუმცა ამ შემთხვევაშიც ათვისების მაჩვენებელი 70%-ია.

2. პრიორიტეტული სასწავლო პროგრამა: ფიზიკა

ფიზიკის სპეციალობაზე სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამინისტროს მიერ დადგენილი ლიმიტები, ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა და ათვისების მაჩვენებელი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

სასწავლო წელი	ლიმიტი	ჩარიცხვა	ათვისება
2014-2015	10	1	10%
2015-2016	10	2	20%
2016-2017	10	3	30%

სსიპ – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში კი ათვისების მაჩვენებელი ამავე სპეციალობაზე საგრძნობლად მაღალია:

სასწავლო წელი	ლიმიტი	ჩარიცხვა	ათვისება
2014-2015	100	83	83%
2015-2016	100	78	78%
2016-2017	100	99	99%

აღსანიშნავია, რომ დაწესებული ლიმიტი და ათვისების მაჩვენებელი ორივე უნივერსიტეტის შემთხვევაში მომდევნო სასწავლო წლებში უცვლელია და არ არის განაწილებული ოპტიმალურად.

2017-2018 სასწავლო წლამდე, არსებული დაფინანსების მოდელის შესაბამისად, თითოეული პრიორიტეტული მიმართულების დაფინანსების ფარგლებში განსაზღვრული ჯგუფების მიხედვით, უნივერსიტეტზე გაიცემოდა ფიქსირებული წლიური დაფინანსება, მიუხედავად სტუდენტების რაოდენობისა,⁴⁹ რაც იწვევდა სახსრების არაპროდუქტიულ ხარჯვას.

შესაბამისად, 2013-2014 სასწავლო წლიდან 2017-2018 სასწავლო წლამდე, უნივერსიტეტები სტუდენტების სწავლის მიზნით პროგრამულ დაფინანსებას ფიქსირებული ოდენობით იღებდნენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ განსაზღვრულ ადგილებს სრულად არ აითვისებდნენ.

მოცემული ნაკლოვანების მიზეზი, გარდა დაფინანსების მოდელისა, არის ის ფაქტი, რომ სამინისტრო დროულად არ აკეთებს პროგრამის ფარგლებში მიღწეული შედეგების ანალიზს და არ ახდენს შესაბამის რეაგირებას, რაც მოცემულ შემთხვევაში გულისხმობს ლიმიტების ოპტიმალურ განაწილებას უნივერსიტეტებს შორის.

სამინისტროს მხრიდან დროული რეაგირების პირობებში, შესაძლებელია კონკრეტული მიმართულების მიხედვით სახელმწიფო დონეზე განსაზღვრული ლიმიტები უნივერსიტეტებს შორის ისეთნაირად განაწილდეს, რომ არსებული ფინანსური რესურსი საჭიროებიდან გამომდინარე მიიმართოს მეტი სტუდენტის დასაფინანსებლად ან სხვა პროგრამას მოხმარდეს.

⁴⁹ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 27 ივლისის ბრძანება N815, მუხლი 5.

დასკვნა

შესაბამისი კვლევების გარეშე პრიორიტეტული მიმართულებების დადგენის და სამინისტროს მხრიდან უნივერსიტეტების მიერ განსაზღვრული სასწავლო პროგრამების პრიორიტეტულობის შეფასების მექანიზმის არარსებობის გამო, ვერ ხდება შერჩეული მიმართულებების თანხვედრა არსებულ საჭიროებებთან, რაც ქმნის პროგრამის არაეფექტიანად განხორციელების პირობებს.

პასუხისმგებელი სტრუქტურებისა⁵⁰ და დაინტერესებული მხარეების⁵¹ არასათანადო კოორდინაციის გამო, არ არის შემუშავებული სისტემური მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ბაზრის საჭიროებების და უმაღლესი განათლების სასწავლო პროგრამების ურთიერთკავშირს. აღნიშნული ამცირებს საკუთარი პროფესიით დასაქმებული კურსდამთავრებულების რაოდენობას და ზრდის სტრუქტურულ უმუშევრობას.

პროგრამის ფარგლებში, თითოეული პრიორიტეტული მიმართულების მიხედვით სტუდენტების მისაღები კონტინგენტის განსაზღვრისას, არ არის შეფასებული მოცემულ დარგში უმაღლესი განათლების სპეციალისტების საჭიროება. ამასთანავე, რიგ შემთხვევაში ცალკეულ უნივერსიტეტებს შორის მისაღებ სტუდენტთა ლიმიტები არაოპტიმალურად არის განაწილებული, რაც იწვევს საბიუჯეტო სახსრების არაპროდუქტიულ ხარჯვას.

რეკომენდაცია სამინისტროს:

რეკომენდაცია N1. იმისათვის, რომ უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებები თანხვედრაში იყოს ქვეყნის საჭიროებებსა და არსებულ გამოწვევებთან, შესაფერისი კრიტერიუმების მიხედვით, მათი აქტუალურობა ყოველწლიურად შეფასდეს და განახლდეს;

რეკომენდაცია N2. ქვეყნის საჭიროებებთან შეუსაბამო გადაწყვეტილების მიღების რისკის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია, სამინისტრომ შეიმუშაოს მექანიზმი, რომლის მეშვეობით უსდ-ები მხოლოდ დადასტურებული საფუძვლით შეძლებენ პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების შერჩევას;

⁵⁰ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

⁵¹ უსდ, დამსაქმებლები და ა.შ.

რეკომენდაცია N3. სტრუქტურული უმუშევრობის რისკების შემცირების მიზნით, მნიშვნელოვანია გაიზარდოს კოორდინაცია პასუხისმგებელ სამინისტროებსა⁵² და დაინტერესებულ მხარეებს⁵³ შორის, რისი მეშვეობით თითოეული მიმართულების მიხედვით, შეფასდება შრომის ბაზრისა და უმაღლესი განათლების სასწავლო პროგრამებს შორის ურთიერთკავშირი; შრომის ბაზრის ტენდენციებისა და სხვა შესაბამისი ხარისხობრივი ინდიკატორების გათვალისწინებით, თითოეული უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, განისაზღვროს დასაფინანსებელი სტუდენტების რაოდენობა;

⁵² საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

⁵³ უსდ, დამსაქმებლები და ა.შ.

4 პროგრამის ადმინისტრირების ნაკლოვანებები

4.1 დაფინანსების მოდელის ნაკლოვანება

მინისტრის ბრძანებით, 2013 წლიდან ყოველწლიურად განისაზღვრება უმაღლესი განათლების პროგრამებზე დაფინანსების მოცულობა⁵⁴. პროგრამული დაფინანსება გაიცემა ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის დასაფინანსებლად.

2017 წლამდე პრიორიტეტული მიმართულებების დასაფინანსებლად გაიცემოდა როგორც პროგრამული დაფინანსება, ასევე სტუდენტის მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტი.

შესაბამისად, 2013-2016 წლებში უნივერსიტეტები სამინისტროს მხრიდან იღებდნენ ორმაგ დაფინანსებას, როგორც პროგრამულს, ასევე სახელმწიფო სასწავლო გრანტის სახით, ხოლო სტუდენტის სხვა სასწავლო პროგრამაზე მობილობის ან სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში, პროგრამული დაფინანსებით მიღებული თანხა რჩებოდა შესაბამის უმაღლეს სასწავლებელში, რაც იწვევდა სახსრების არაპროდუქტიულად განკარგვას.

2017 წლიდან გათვალისწინებულია მხოლოდ პროგრამული დაფინანსება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოპოვებული აქვს სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, მისი სწავლის საფასური შეიცვება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის ოდენობამდე, მაგრამ არა უმეტეს 2,250 ლარისა.⁵⁵

მოდელის ცვლილების შედეგად, სახელმწიფოს მხრიდან გაწეული ხარჯები ერთეულთან მიმართებაში შემცირდა 23%-ით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ 2013-2016 წლებში იმავე მიზნის მისაღწევად შესაძლებელი იყო ნაკლები ფინანსური რესურსის გახარჯვა.

სამინისტროს მიერ დაფინანსების მოცულობა განისაზღვრება უნივერსიტეტის და არა პროგრამის დონეზე. პრიორიტეტულ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების საერთო რაოდენობა განსაზღვრავს დაფინანსების ოდენობას. ამასთანავე, პროგრამებს შორის ფინანსურ რესურსს ანაწილებს უნივერსიტეტი, რაზეც მონიტორინგს სამინისტრო არ ახორციელებს.

⁵⁴ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N135/6, 2017 წლის 17 აგვისტო, მუხლი 5.

⁵⁵ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N135/6, 2017 წლის 17 აგვისტო, მუხლი 5.

მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, არსებული დაფინანსების მოდელი კონცეპტუალურად განსხვავებულია საერთაშორისო პრაქტიკისგან. კერძოდ, უსდ-სთვის გაცემული დაფინანსების მოცულობა დამოკიდებულია მხოლოდ ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობაზე და არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული სხვა კრიტერიუმები.

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში დაფინანსების ოდენობის განსაზღვრისთვის გამოიყენება რამდენიმე კრიტერიუმის კომბინაცია.

ცხრილი N4.1.1 OECD ქვეყნების მიერ გამოყენებული კრიტერიუმები⁵⁶


OECD ქვეყნების მიერ გამოყენებული კრიტერიუმები

]	კრიტერიუმი 1.	სტუდენტების რაოდენობა
]	კრიტერიუმი 2.	პირველკურსელების რაოდენობა
]	კრიტერიუმი 3.	კადრების რაოდენობა
]	კრიტერიუმი 4.	აკადემიური პერსონალის რაოდენობა
]	კრიტერიუმი 5.	აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის დონე
]	კრიტერიუმი 6.	სხვა წყაროებიდან მოძიებული სახსრები
]	კრიტერიუმი 7.	მიმართულების პრიორიტეტულობა
]	კრიტერიუმი 8.	კურსდამთავრებულების რაოდენობა
]	კრიტერიუმი 9.	კრედიტების რაოდენობა (ECT)
]	კრიტერიუმი 10.	სტუდენტების მობილობის მაჩვენებელი
]	კრიტერიუმი 11.	დანერგილი ინოვაციები
]	კრიტერიუმი 12.	სტუდენტების პროგრესი
]	კრიტერიუმი 13.	დასაქმების მაჩვენებელი
]	კრიტერიუმი 14.	სტუდენტების კმაყოფილება
]	კრიტერიუმი 15.	გარე შეფასების შედეგები
]	კრიტერიუმი 16.	შრომის ბაზრის მოთხოვნა

⁵⁶ Tertiary Education for the Knowledge Society, VOLUME 1, Paulo Santiago, Karine Tremblay, Ester Basri and Elena Arnal, pp. 198-200, 202-204.

ქვემოთ მოცემულ სქემაზე წარმოდგენილია რამდენიმე ქვეყნის მაგალითი და მათ მიერ გამოყენებული კრიტერიუმების კომბინაცია დაფინანსების მოდელის შემუშავებისას.

სქემა N4.1.1 გამოყენებული კრიტერიუმები ევროპის ქვეყნების მიხედვით



საქართველოს მსგავსად, უმეტეს ქვეყნებში დაფინანსების გამოყოფისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტუდენტების რაოდენობა, მაგრამ გარდა მოცემული ფაქტორისა, ასევე გამოყენებულია ისეთი ინდიკატორები, რომლებიც მიმართულია სასწავლო პროგრამების ხარისხისა და უსდ-ის მიერ მიღწეული შედეგების გასაზომად. თითოეულ კრიტერიუმს მინიჭებული აქვს შესაბამისი კოეფიციენტი, რისი მეშვეობით გამოითვლება საბოლოო დაფინანსების ოდენობა.

ჰოლანდიის მაგალითის შემთხვევაში, თანხა ნაწილდება ქვემოთ მოცემული პრინციპით, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

-)/ დაფინანსების საბაზისო კომპონენტი – 37%;
-)/ შედეგების კომპონენტი (გამოითვლება დიპლომების რაოდენობით) – 50%;
-)/ სტუდენტების რაოდენობის კომპონენტი – 13%.

დაფინანსების ოდენობა დამოკიდებულია განსახორციელებელ აქტივობებზე, რომლებიც უნივერსიტეტის მიხედვით ინდივიდუალურად თანხმდება სამინისტროსთან. საბაზისო კომპონენტი მოიცავს უსდ-ის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ფიქსირებულ ხარჯებს, ხოლო დანარჩენი ორი კომპონენტი ითვალისწინებს ხარისხობრივ ინდიკატორებს.


ამასთანავე, ქვეყნების გარკვეული ნაწილი სახელმწიფო სახსრების მიმართულებებს შორის განაწილებისას და დასაფინანსებელი სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრისას, ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნას. მაგალითად, ფინეთი შრომის ბაზრის პროგნოზზე დაყრდნობით ანაწილებს ფინანსურ რესურსს.

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, დაფინანსების მოდელის შემუშავებისას გასათვალისწინებელია სტუდენტების მობილობის მაჩვენებელიც. მობილობის პროცესი რეგულირდება მინისტრის ბრძანებით,⁵⁷ რომელიც განსაზღვრავს ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის პროცედურას. პრიორიტეტულ პროგრამაზე ჩარიცხულ პირს უფლება აქვს შეიცვალოს მიმართულება, მაგრამ მობილობის განხორციელების შემთხვევაში, გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება სრულად რჩება უნივერსიტეტს და დაუშვებელია მისი გადატანა.

პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების მობილობა წლების მიხედვით განსხვავებულია და საშუალოდ შეადგენს **11%-ს**.

⁵⁷ განათლების მინისტრის ბრძანება N10/ნ, უმაღლესი დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს დაწესებულებაში გადასვლის წესი.


გრაფიკი N 4.1.1 2012-2017 წლებში სტუდენტების მობილობის მაჩვენებელი



არსებული მიმართულებებიდან სტუდენტების **78%** გადადის ისეთ პროგრამებზე, რომლებიც არ არიან მიჩნეული პრიორიტეტულად და რომელზე მოთხოვნა ისედაც მზარდია, შესაბამისად, არ საჭიროებს დარგის პოპულარიზაციას. ყველაზე ხშირად მობილობის შემდეგ, სტუდენტები სწავლას აგრძელებენ შემდეგ მიმართულებებზე: ბიზნესის ადმინისტრირება, სამართალი, ინფორმატიკა.

მობილობის მაჩვენებელი უნივერსიტეტების მიხედვით განსხვავებულია:

გრაფიკი N4.1.2 2012-2017 წლებში სტუდენტების მობილობის გასაშუალოებული მაჩვენებელი უნივერსიტეტების მიხედვით



დაფინანსების წესის მიხედვით, მობილობის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის მიზნით გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება რჩება უნივერსიტეტში. შესაბამისად, მოდელი არ ქმნის სტიმულს უნივერსიტეტებისთვის, შეინარჩუნონ სტუდენტები. მობილობის

მაღალი მაჩვენებელი კი ზრდის ფინანსური რესურსის არაპროდუქტიულად ხარჯვას. ამავე დროს, მობილობის შედეგად იზრდება პოპულარულ პროგრამებზე სტუდენტების რაოდენობა, რაც არ არის თანხვედრაში პროგრამის მიზნებთან.

დაფინანსების მოდელის შემუშავებისას მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს არა მხოლოდ სტუდენტების რაოდენობაზე, არამედ ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა, სტუდენტების მობილობის მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა რაოდენობა, დასაქმებულთა რაოდენობა, შრომის ბაზრის მოთხოვნა და ა.შ. მრავალკრიტერიუმიანი დაფინანსების მოდელის პირობებში, ნაცვლად ერთკრიტერიუმიანი მოდელისა, შესაძლებელი იქნება ფინანსური რესურსების უფრო პროდუქტიულად განკარგვა.

4.2 პროგრამის მონიტორინგის ნაკლოვანებები

მინისტრის ბრძანების მიხედვით, სამინისტრო უფლებამოსილია შექმნას უნივერსიტეტების მიერ მიღწეული შედეგების შეფასების კომისია, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს შუალედური და საბოლოო შეფასება. პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, შუალედური შეფასებები უნდა გამოიყენებოდეს როგორც საბოლოო შედეგის მიღწევისკენ პროგრესის მაჩვენებელი.

კომისიის შექმნა მიზნად ისახავს უნივერსიტეტების მიერ დასახული მიზნების მიღწევის შეფასებას და გაწეული ხარჯების განათლების ხარისხთან შესაბამისობის ანალიზს. კომისია უფლებამოსილია ყოველი სასწავლო წლის ბოლოს შეაჯამოს და გააანალიზოს თითოეულ უნივერსიტეტში პრიორიტეტულ პროგრამულ მიმართულებაზე ჩარიცხული სტუდენტების შეფასებების შესახებ მონაცემები, ასევე პროგრამული დაფინანსების ფარგლებში გაწეული ხარჯის საფუძველზე მიღებული შედეგები. ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, კომისიამ უნდა შეიმუშაოს რეკომენდაციები უნივერსიტეტებისათვის, მათ შორის, გამოთქვას მოსაზრება მომდევნო სასწავლო წლებში პროგრამული დაფინანსების გაცემაზე თანხმობის ან უარის თქმის შესახებ.

დაფინანსების ვადის ამოწურვის შემდეგ, უნივერსიტეტები ვალდებული არიან სამინისტროში წარმოადგინონ ინფორმაცია პროგრამული დაფინანსების ფარგლებში დასახული მიზნების შესრულების საბოლოო შედეგების თაობაზე და განახორციელონ ანგარიშგება.⁵⁸

⁵⁸ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებები: N50/ნ, N43/ნ, N81/ნ სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცებისა და სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების იმ

მოცემული პროცესის მსგავსი პრაქტიკა გვხვდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მაღალგანვითარებული ქვეყნები ორიენტირებულნი არიან შეიმუშაონ ისეთი საჯარო პოლიტიკის ჩარჩოები, რომელიც მოიაზრებს დეტალური ადმინისტრაციული დირექტივების შემცირებას, ინსტიტუციური თავისუფლების განვითარებას და ამავე დროს ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაძლიერებას.⁵⁹

ზემოთ აღნიშნული მოდელი არ ზღუდავს უსდ-ების აკადემიურ თავისუფლებასა და ავტონომიას, მაგრამ ამავე დროს სახელმწიფოს მხრიდან დანერგილია შუალედური და საბოლოო შედეგების მონიტორინგის მექანიზმები იმის დასადგენად, თუ რამდენად არის უსდ-ების მიერ საჯარო მიზნები გათვალისწინებული.⁶⁰

მონიტორინგის სისტემა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია და ითვალისწინებს მრავალი ერთეულის ჩართულობას, როგორებიცაა: განათლების სამინისტრო, უმაღლესი განათლების კომისია, ხარისხის განვითარების ერთეული და კარიერის განვითარების ცენტრი, სადაც უმაღლესი განათლების კომისია პოლიტიკის შემუშავებელი და განმახორციელებელი სტრუქტურაა, რომელიც ინიშნება განათლების მინისტრის მიერ და მოქმედებს როგორც ზოგადი პოლიტიკის მრჩეველი, ასევე მონაწილეობას იღებს ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა, მაგალითად, უსდ-ებს შორის სახელმწიფო დაფინანსების განაწილება.

უსდ-ები კომისიას წარუდგენენ გეგმას, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნულ პრიორიტეტებსა და სტრატეგიასთან, რის საფუძველზე გაიცემა დაფინანსება, ხოლო დაფინანსების გაგრძელება დამოკიდებულია უსდ-ს მიერ მიღწეულ შედეგებსა და სახელმწიფო მიზნების მიღწევაში შეტანილ წვლილზე.⁶¹

აღსანიშნავია, რომ მოცემული საერთაშორისო მოდელი, მინისტრის ბრძანებით შექმნილი მოდელის მსგავსია, რომელიც ითვალისწინებდა კომისიის შექმნას და მისი მეშვეობით შუალედური და საბოლოო შედეგების შეფასებას.

მიუხედავად არსებული რეგულაციისა, აუდიტის პერიოდისათვის სამინისტროში არ იყო შექმნილი კომისია, შესაბამისად, არ არის შეფასებული შედეგები, ასევე – რამდენად ოპტიმალურია უსდ-ებზე გაცემული დაფინანსება.

პროგრამული მიმართულების/მიმართულებების დამტკიცების შესახებ, რომელ(ებ)შიც სტუდენტის სწავლის საფასურს სრულად აფინანსებს სახელმწიფო.

⁵⁹ OECD კვლევა, უმაღლესი განათლება სოციალური ცოდნისთვის, გამოცემა 1, გვ. 90.

⁶⁰ OECD კვლევა, უმაღლესი განათლება სოციალური ცოდნისთვის, გამოცემა, ინსტიტუციონალურ ცოდნაზე ფოკუსირება.

⁶¹ OECD კვლევა, უმაღლესი განათლება სოციალური ცოდნისთვის, გამოცემა 1, გვ.94.

2018 წლამდე პერიოდისთვის, უნივერსიტეტების მხრიდან ინფორმაცია პროგრამული დაფინანსების ფარგლებში დასახული მიზნების შესრულების შესახებ სამინისტროში არ მოიპოვება. ამასთანავე, უნივერსიტეტები არ წარადგენენ წლიურ ანგარიშებს ან/და ინფორმაციას სამინისტროში დაფინანსების ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევის, შუალედური ან/და საბოლოო შედეგების შესახებ. უნივერსიტეტების ინფორმაცია ძირითადად მოიცავს ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასა და მწირ სტატისტიკურ მონაცემებს.

მონიტორინგის მექანიზმების არარსებობა ქმნის წინაპირობას, რომ სამინისტროს მიერ არ ფასდება მიღწეული შედეგები და პროგრამის ეფექტიანობის მაჩვენებლები. შესაბამისად, ვერ მოხდება პრიორიტეტული მიმართულებების საჭიროებების შესაბამისად ადაპტირება და დაფინანსების ოდენობის კორექტირება.

4.3 პროგრამის ეფექტიანობის საზომები

პროგრამის შედეგების გაზომვისას მნიშვნელოვანია ისეთი ინდიკატორების გამოყენება, რომელიც შეაფასებს პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსების ეფექტიანობას.

განათლების სისტემაში სახელმწიფო ყველაზე მსხვილი ინვესტორია. ცხადია, განათლებაში ჩადებულ ინვესტიციას მოაქვს სოციალური სარგებელი, რომლის მონეტარულად გამოსახვა რთულია.

განათლების სისტემაში გაწეული ხარჯების ეფექტიანობის შესაფასებლად რამდენიმე ინდიკატორი არსებობს. საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ყველაზე ფართოდ გავრცელებული უმაღლესი განათლების სარგებლის საზომი ეკონომიკური კუთხით არის ე.წ. „სოციალური უკუგება“ (Public IRR), რაც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ უმაღლეს განათლებაზე გაწეული ხარჯების ფარდობას დასაქმებიდან მიღებულ სავარაუდო შემოსავლებთან. აღნიშნული კოეფიციენტი განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ განათლებაზე გაწეული ინვესტიციების ეფექტიანობას.

$$IRR = \frac{\text{შემოსავალი შემოსავლები}}{\sum (1+r)^t} - \text{საწყისი ინვესტიცია}$$

$$\sum (1+r)^t$$

სხვა თანაბარ პირობებში უმაღლესი განათლების მქონე პირებისთვის „სოციალური უკუგების“ კოეფიციენტი უფრო მაღალია, ვიდრე იმ პირებისთვის, რომლებსაც აქვთ პროფესიული ან საშუალო განათლება. უმაღლეს განათლებაზე გახარჯული სახსრები სავარაუდოა, რომ გრძელვადიან პერიოდში სახელმწიფოსთვის იქნება მომგებიანი. კერძოდ, მაღალია

მოლოდინი იმისა, რომ უმაღლესი განათლების მქონე პირები დასაქმდებიან მაღალშემოსავლიან პოზიციებზე და შესაბამისად, გადაიხდიან მაღალ საშემოსავლო გადასახადებს. ამასთანავე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ პირებზე სახელმწიფოს მხრიდან გაწეული იქნება სოციალური და სხვა ტიპის დახმარების ხარჯები.⁶²

ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კვლევის მიხედვით, ევროპის ქვეყნებში „სოციალური უკუგების“ საშუალო მაჩვენებელი უმაღლესი განათლების მქონე პირებში შეადგენს **15%-ს**.⁶³ აღსანიშნავია, რომ ისეთ ქვეყნებში, სადაც განათლებაზე გაწეული ხარჯები შედარებით დაბალია, მოცემული მაჩვენებელი გაცილებით მაღალია, მაგალითად, ჩეხეთში, უნგრეთსა და პოლონეთში მერყეობს **20%-დან 30%-მდე**.

სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულ მიმართულებებზე ინვესტირებული ფინანსური რესურსის ეფექტიანობის შესაფასებლად, აუდიტის ჯგუფმა, ანალოგიური მეთოდოლოგიით გამოთვალა „სოციალური უკუგების“ მაჩვენებელი, რომელმაც შეადგინა **7.7%**. ევროპის ზოგად მაჩვენებელთან და იმ ქვეყნების მონაცემებთან შედარებით, რომლებიც განვითარების დონით შედარებით ახლოს დგანან საქართველოსთან, მოცემული პროგრამის ფარგლებში მიღებული სარგებელი დაბალია.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის ერთ-ერთი მიზანია დარგის განვითარება და ახალგაზრდების დაინტერესება აღნიშნული მიმართულებით სწავლის გასაგრძელებლად.⁶⁴

მიუხედავად იმისა, რომ პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების პოპულარიზაციისა და აბიტურიენტების დაინტერესების კუთხით, სამინისტროს არ დაუგეგმავს და არ განუხორციელებია კონკრეტული აქტივობები, 2013 წლიდან კონკრეტული მიმართულებების პრიორიტეტებად გამოცხადების შემდეგ, 48%-ით გაზრდილია მოცემულ სასწავლო პროგრამებზე სტუდენტების ჩარიცხვის საერთო მაჩვენებელი.

რაც შეეხება სტუდენტების აკადემიური მომზადების დონეს, ფიქსირდება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე პრიორიტეტულ პროგრამებსა და სხვა დანარჩენ სასწავლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების დაახლოებით მსგავსი ქულები. ასევე წლების მიხედვით, მკვეთრად არ იცვლება მიღებული ქულების შკალა.

⁶² The Economic Benefits of Education.

⁶³ Education at a glance, OECD 2018, pp. 106.


⁶⁴ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N 135/ნ, მუხლი 1.

გრაფიკი N4.3.1 2013-2017 წლებში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სტუდენტების მიერ დაფიქსირებული შედეგები



2013-2017 სასწავლო წლების მონაცემებით, პრიორიტეტულ სასწავლო პროგრამებზე იმ სტუდენტების წილი, რომლებსაც მოპოვებული აქვთ სახელმწიფო სასწავლო გრანტი, შეადგენს, საშუალოდ 26%-ს, თუმცა წლების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი უარესდება.


გრაფიკი N4.3.2 2013-2017 წლებში სტუდენტების რაოდენობა, რომლებმაც მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო გრანტი



პროგრამის განხორციელების პირველ 4 წელს იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებსაც მიღებული ჰქონდათ სასწავლო გრანტი, პერმანენტულად იკლებდა და საბოლოო ჯამში შემცირდა 9 პროცენტული პუნქტით.

მიუხედავად სტუდენტების გაზრდილი რაოდენობისა, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სტუდენტების მიერ გაკეთებული არჩევის მიხედვით, პრიორიტეტული სასწავლო პროგრამები არ იკავებს მოწინავე პოზიციებს. კერძოდ, 2013-2017 წლებში სტუდენტები აღნიშნულ სასწავლო პროგრამებს ირჩევდნენ საშუალოდ მე-11 რიგის პრიორიტეტად, ხოლო ყველაზე ხშირად პროგრამები ფიქსირდებოდა მეხუთე რიგის არჩევნად. ასევე გვხვდება იშვიათი შემთხვევები, როდესაც პროგრამები არჩეულია როგორც პირველი, ასევე ერთ-ერთი ბოლო – მე-20 რიგის პრიორიტეტი. აბიტურიენტების მიერ არჩევის დაფიქსირების კუთხით, სურათი თითქმის არ შეცვლილა მიმართულების პრიორიტეტად გამოცხადების შემდეგ.

გრაფიკი N4.3.3 პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების რიგითობა სტუდენტების მიერ გაკეთებული არჩევის მიხედვით



აღსანიშნავია, რომ საპირისპირო სურათი ფიქსირდება სტუდენტების გამოკითხვის შედეგად. გამოკითხულთა უმრავლესობა პროგრამის არჩევის მიზეზად ასახელებს სფეროსადმი ინტერესს, თუმცა გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორებიც, როგორებიცაა, სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება და დასაქმების პერსპექტივა.

გრაფიკი N4.3.4 კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები – პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების არჩევის მიზეზი



აღნიშნულ ინდიკატორებზე დაყრდნობით, მოცემული პროგრამის ფარგლებში მიღწეული შედეგებისა და გახარჯული რესურსების ფარდობა მიუთითებს პროგრამის დაბალ ეფექტიანობაზე.

დასკვნა

დაფინანსების არსებული მოდელი დაფუძნებულია მხოლოდ ერთ კრიტერიუმზე – სტუდენტების რაოდენობაზე და არ ითვალისწინებს ცალკეული უნივერსიტეტების საქმიანობის ხარისხობრივ პარამეტრებს. შედეგად, ფინანსური რესურსი უნივერსიტეტებს შორის ნაწილდება მხოლოდ სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით, რაც იწვევს საბიუჯეტო სახსრების არაპროდუქტიულ ხარჯვას.

მონიტორინგის სისტემის არარსებობის გამო, სამინისტრო არ აფასებს მიღწეული შედეგებისა და პროგრამის ეფექტიანობას. აქედან გამომდინარე, არ ხორციელდება დაფინანსების წესის და პრიორიტეტული მიმართულებების საჭიროებების შესაბამისად კორექტირება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული და მიღწეული შედეგების ფარდობა გახარჯულ ფინანსურ რესურსთან, მიუთითებს პროგრამის არსებული მოდელის ეფექტიანობის და პროდუქტიულობის დაბალ მაჩვენებლებზე.

რეკომენდაცია სამინისტროს:

რეკომენდაცია N4. სახსრების პროდუქტიულად ხარჯვის მიზნით, მიზანშეწონილია დაფინანსების მოდელის ცვლილება. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შემუშავდეს კრიტერიუმები, რომლებიც უსდ-ისათვის დაფინანსების გაცემისას, სტუდენტების რაოდენობის გარდა მხედველობაში მიიღებს ხარისხობრივ ინდიკატორებსაც;

რეკომენდაცია N5. სამინისტრომ მნიშვნელოვანია დანერგოს მონიტორინგის სისტემა და გაწეროს შეფასების ინდიკატორები, რათა შესაძლებელი გახდეს გაიზომოს პროგრამის ფარგლებში უსდ-ების მიერ მიღწეული შედეგი, გახარჯული რესურსის ეფექტიანობა და პროდუქტიულობა და საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს დროული რეაგირება.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N65/ნ, 2011 წლის 4 მაისი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი სტრატეგია, 2017-2021;

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი, 2018-2020;

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი, 2019-2022;

საქართველოს მთვარობის დადგენილება N167;

საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N79/ნ, 2013 წლის 24 ივნისი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულება;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 15 აპრილის N50/ნ, 2015 წლის 15 მაისის N43/ნ, 2016 წლის 27 ივლისის N81/ნ, 2017 წლის 17 აგვისტოს N135/ნ ბრძანებები;

შრომის ბაზრის ანალიზისა და საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების 2018 წლის სახელმწიფო პროგრამა;

მთავრობის დადგენილება N12, 2018 წლის 15 იანვარი;

მთავრობის დადგენილება N66, 2013 წლის 28 მარტი;

მთავრობის დადგენილება N248, 2014 წლის 20 მარტი;

მთავრობის დადგენილება N180, 2015 წლის 24 აპრილი;

მთავრობის დადგენილება N158, 2016 წლის 1 აპრილი;

მთავრობის დადგენილება N359, 2017 წლის 24 ივლისი;

საქართველოს მთვარობის დადგენილება N199, საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია;

განათლების მინისტრის ბრძანება N10/ნ, უმაღლესი დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს დაწესებულებაში გადასვლის წესი.

სახელმძღვანელოები და პუბლიკაციები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები;

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში;

The Strategic Plan for the Scholarly, Scientific, Research, Development and Innovation, Artistic and Other Creative Activities of Higher Education Institutions for 2016–2020, p.15-19;

Tertiary Education for the Knowledge Society Volume 1, p 90;

Tertiary Education for the Knowledge Society, VOLUME 1, Paulo Santiago, Karine Tremblay, Ester Basri and Elena Arnal, pp. 198-200, 202-204;

The Economic Benefits of Education;

OECD კვლევა უმაღლესი განათლება სოციალური ცოდნისთვის.

ინფორმაცია, გლობალური ქსელი

www.eqe.ge – უკანასკნელად გადამოწმდა 16.11.2018;

www.sao.ge – ინკლუზიური სწავლების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, უკანასკნელად გადამოწმდა 16.11.2018;

<https://www.education.govt.nz/school/running-a-school/resourcing/operational-funding/operational-funding-components/>, უკანასკნელად გადამოწმდა 16.11.2018;

https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/higher-education-funding-53_en, უკანასკნელად გადამოწმდა 16.11.2018;

https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Employment_rates_of_recent_graduates, უკანასკნელად გადამოწმდა 16.11.2018;

https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/higher-education-funding-21_bs, უკანასკნელად გადამოწმდა 16.11.2018;

<http://eprints.iliauni.edu.ge/1987/1/Return%20to%20tertiary%20education.pdf>, უკანასკნელად გადამოწმდა 16.11.2018.

აუდიტორთა

ხელმოწერა:

ხელმოწერა

სახელი, გვარი


მარიამ ზაალიშვილი

წამყვანი აუდიტორი



ნათია კუპატაძე

უფროსი აუდიტორი



ხათუნა აგულაშვილი

აუდიტორი



გიორგი როსტიაშვილი

უფროსი აუდიტორ - ასისტენტი



